# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 14 ივლისი 1998 №120 (655) ფასი 50 თეთრი




ჩივაძე და ჟორდანია ფედერაციის აღმასკომის ბოლო სხდომაზეც გვერდი-გვერდ ისხდნენ

# ჩივაძემ ასპარეზი ჟორდანიას დაუთმო

## ნოდარ ანდრიაძე

...საშა არ არის იმის კაცი, რაიმე გარიგებაზე წავიდეს. ეს გამორიცხულია, მაგრამ მას შეუძლია მეგობრისთვის ყველაფერი გაიღოს, ყველაფერი გააკეთოს. იგი სირაქლემის დღეში არ ჩაიგდებს თავს, რადგან კარგად იცის, რომ საქართველოში არაფერი დაიმალება...

## რამაზ გოგლიძე

...გაოცებული ვარ. ჩემთვის მოულოდნელი იყო ბატონი საშას გადაწყვეტილება. თუ დავრწმუნდი, რომ ყოველივე დანიშნული კარტებით თამაშს ჰგავს, მაშინ არჩევნების წინ მოვხსნი ჩემს კანდიდატურას...

## ილია დათუნაშვილი

...რაღაც მოლაპარაკებას და ალიანსს რომ აქვს ადგილი, ფაქტია, მაგრამ ვისთან, კონკრეტული პასუხის გაცემა არ შემიძლია. ცილს ვერავის დავწამებ...

## მერაბ ჟორდანია

...როცა კანდიდატურა წამოვაყენე, ყოველივე ჩივაძესთან შეთანხმებით მოხდა. მერე დავსხედით, ვისაუბრეთ და გადავწყვიტეთ — ან საშა დარჩებოდა კანდიდატად, ანაც მე. ჩივაძემ ასე ამჯობინა, ასპარეზი დამითმო, თუმცა ამის შესახებ პირადად ჩემთვის არაფერი უთქვამს...

ფეხბურთის ფედერაცია შოკშია. ყრილობამდე 10 დღით ადრე მას მთავარი დასაყრდენი გამოეცალა. პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელმა, ოფიციალურად ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე ჩივაძემ საკმაოდ მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა. მან პირველობაზე უარი განაცხადა, რისთვისაც ფედერაციელთა რისხვაც დაიმსახურა.

იამანიძის ქუჩაზე თუ მოხვდებით, შეგაშინებთ შეშფოთებულ-გაუცინარი სახეები. ეს ერთი ნაწილია იმ დიდი კორპუსისა, რომელსაც საძირკველი შერყევია. მათ არ იციან, რა ქნან. მეორენი განცხადებების დასაწერად ემზადებიან, სანამ გვიან არ არის, აქედან გავასწროთო. მესამე ჯგუფი ისეთია, მარცხს ძნელად შეეგუება. ისინი სავარაუდო პრეზიდენტთან საქმის მოკვარახჭინებას ეცდებიან და უკვე კიდეც ცდილობენ.

რატომ გადადგა ალექსანდრე ჩივაძემ ბევრისთვის არასასურველი ნაბიჯი? ვფიქრობთ, ამ კითხვის ზუსტ პასუხს ვერაფრით შევიტყობთ, ამიტომ მხოლოდ ჭორის დონეზე გაგონილ-გამოკითხულის შეჯერება გვიხდება, რომელსაც ჩვენეულ კომენტარსაც დავურთავთ.

ბევრის აზრით, საქმე იმიტომ წახდა, რომ ფედერაციას ადრინდელი ფინანსური დარღვევები გამოუჩხრიკეს, ზეწოლამაც იმატა და ჩივაძემ ვერ გაუძლო.

ეს ვერსია უსაფუძვლოა. ცხონებული ნოდარ ახალკაცის დროინდელ ფედერაციაში ჩივაძეს ფინანსებთან არავითარი კავშირი არ ჰქონია. იგი ნაკრების გაწვრთნა-დაკომპლექტებით იყო დაკავებული. არ გვგონია, ცხონებულს ვიცე-პრეზიდენტი მსგავს საქმეებში გაეთვითცნობიერებინა.

მას შემდეგ, რაც ჩივაძე ნაკრებს დაეთხოვა და ფედერაციის საქმეებში ღრმად ჩაიხედა, არაერთი მანკიერი მხარე შენიშნა. დაიწყო კიდეც ბრძოლა, მაგრამ ეულად დარჩენილს ხმალი შემოაცვდა, ძალა გამოელიაო.

ეს აზრი სიმართლესთან ახლოა. ჩივაძემ თავიდანვე განაცხადა, სანამ აქა ვარ, უმსგავსოებას ვერ მოვითმენო, მაგრამ ბატონ ალექსანდრეს ხომ არასდროს არავისთვის უწყენინებია. სხვებისთვის გამზადებულ სახრეს თავზე დაიტეხდა, რისხვას თავისკენ მიმართავდა და ამით სხვები გამოჰყავდა რთული მდგომარეობიდან. ეტყობა, მართლა დაიღალა.

ალექსანდრე ჩივაძეს ოფიციალურად არ განუცხადებია, ჩემს კანდიდატურას ვხსნიო. ეს სიტყვები მას ვიწრო წრეში უთქვამს. ისე, ოფიციალურად არც კანდიდატურა წამოუყენებია, ეს ისედაც იგულისხმებოდა.

ეს ბატონი საშას დამახასიათებელი თვისება გახლავთ. თავის დროზე, ფეხბურთელობის ჟამს, ერთხელ, მხოლოდ ერთხელ თქვა, მორჩა, საბჭოთა კავშირის ნაკრებიდან მივდივარო. ვერავინ შეძლო უკან მიებრუნებინა.

ნაკრების მწვრთნელი იყო და, წავედიო თქვა. ღამის მთელმა ფედერაციამ, აღმასკომის ჩათვლით, დაუჩოქა, დარჩიო. არ შეცვალა ჩივაძემ გადაწყვეტილება. დარწმუნებულები ბრძანდებოდეთ, ახლაც ასე იქნება.

ჩვენი აზრით, მთელი ამ ხნის განმავლობაში (იგულისხმება ახალკაცის დასრულებული ეპოქის შემდეგი პერიოდი) ალექსანდრე ჩივაძემ კარგად დაინახა ქართული ფეხბურთის ახლანდელი სახე. ყველაფერი გაანალიზა, მიხვდა, ეტაპობრივი გარდაქმნა საქმეს ვერ უშველიდა. პირდაპირი, დაუნდობელი მოქმედება იყო საჭირო. საკუთარი შესაძლებლობებიც სწორად შეაფასა და ამიტომაც გაცლა ამჯობინა. იგი აუცილებლად დარჩება ახალ ფედერაციაში და ქართულ ფეხბურთს სიკეთეს სხვა კუთხით მოუტანს. თუ ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, მაშინ ჩივაძის მოქმედებით აღშფოთებული ფედერაციელები ტყუილად სდებენ მას ბრალს უპრინციპობაში. პირიქით, გვგონია, მეტად პრინციპული ნაბიჯი გადადგა.

რა ქნას ფედერაციამ, რა გზას ეწიოს. უსაშველო სიტუაციაში ჩავარდნილები ხავსს ეჭიდებიან. უკვე საუბარია სახელდახელო კანდიდატზე. ამბობენ, ეს მისია ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ნოდარ ანდრიაძემ უნდა იტვირთოსო. ანდრიაძე გამოცდილი სამეურნეო მუშაკია, ორგანიზაციული ნიჭიც არ დაეწუნება, მაგრამ მაინც საეჭვოა, ანდრიაძემ ეს ნაბიჯი გადადგას. იმასაც გაიგონებთ, ანდრიაძეს ახალ ფედერაციაში ადგილი გარანტირებული აქვსო. მერე რა, რომ ბევრი მოიმდურა, საჯაროდ პირში სიმართლის თქმა უყვარს. სამაგიეროდ, საქმეში გათვითცნობიერებული კაცია და სხვებზეც გაცილებით „სუფთაო“.

ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით მთელი ეს აქცია დავით კვინიკაძის და მისი გუნდის წასაქცევად შემზადდა. ეროვნულ ჩემპიონატს გენსეკი მართავს, ჩაწყობილი თამაშებიო და მისთანები არაერთი გაგვიგონია.

განა ასე ადვილად წასაქცევია გენერალური მდივანი. გამოცდილება და საქმის ცოდნა არ აკლია. მართალია, მოწინააღმდეგეებიც ბლომად ჰყავს, მაგრამ მხარსაც ბევრი უჭერს. კვინიკაძე ბოლომდე თავისას ეცდება. არც ის გვგონია, განცხადება დაწეროს და პენსიაზე გავიდეს.

შეიძლება ყრილობა გადაიდოს ან ჩაიშალოსო. ფედერაციას იმდენი გავლენა კიდევ შერჩენია, დელეგატებმა ყრილობას ბოიკოტი გამოუცხადონ, მაგრამ ეს თავიდანვე წამგებიანი და გაშიფრული ნაბიჯია. მათთვის უმჯობესი იქნება, არჩევნების მოგებას ეცადონ. ამიტომაც არ გვჯერა, რომ ამბობენ, ყრილობა გადაიდება ან ჩაიშლებაო. ამ აზრს ისიც ადასტურებს, რომ ნოდარ ანდრიაძე და დავით კვინიკაძე გუშინ დარბაზის მოსანახულებლად იყვნენ. იმ დარბაზისა, სადაც ყრილობა უნდა გაიმართოს.

**მამუკა ძვანტალიანი**

იხილეთ მერვე გვერდი

# ბედნიერების კუნძული

*რით დავიწყოთ? ყველაფერი ხომ ისტორიით იწყება. ჩვენც ისტორიით დავიწყოთ, და ცოტა სტატისტიკით. მიუხედავად იმისა, რომ ყველა თქვენგანმა ბევრი რამ იცით.*


ემზარ ზენაიშვილი

„სარბიელის“ საგანგებო კორესპონდენტი პარიზიდან




### დღემდე

15 ფინალი, 325 მონაწილე, სამჯერ დამატებითი დრო, ერთხელ პენალტების სერია; 65 გატანილი ბურთი, მათგან მხოლოდ 4 პენალტით. ერთ მატჩში საშუალოდ 4,13 ბურთი. ყვითელი ბარათი 28-ჯერ, გაძევება — ორჯერ; ყველა ფინალს დაესწრო 1 237 273 მაყურებელი — თითოეულ მატჩს საშუალოდ 82 484 კაცი; ყველაზე მეტი ბურთი გავიდა ძირითადი დროის ბოლო თხუთმეტ წუთში (18) და პირველ თხუთმეტწუთეულში (11); სულ ორი მწვრთნელია, რომელთაც ჯერ ფეხბურთელობისას მოუპოვებიათ მსოფლიოს ჩემპიონობა, მერე კი მწვრთნელობისას გუნდი გაუხდიათ მსოფლიოს ჩემპიონი — მარიო ზაგალო და ფრანც ბეკენბაუერი.

მე-16 ჩემპიონატის ფინალს წინ უსწრებდა 172 ქვეყნის ნაკრებთა 643 მატჩი 1922 გატანილი გოლით, პლუს 63 შეხვედრა საფრანგეთში.

კიდევ უფრო შორიდან დავიწყოთ? 1930 წლიდან, ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატების დედათარიღიდან გამართულა 3733 მატჩი, 335 970 წუთი, ესაა განუწყვეტელი თამაშის 5593 საათი.

ყოველ შემთხვევაში, ისიც გავიხსენოთ, რომ დღეს ამ გუნდების მეცხრე მატჩია, სამი ოფიციალური და ექვსი ამხანაგური. მსოფლიოს პირველობათა ფინალურ სტადიაზე ანგარიში საყაიმოა. დღეს ფრე გამორიცხულია — გლადიატორთა ამ ჭიდილში გამარჯვებული უნდა გამოვლინდეს.

დღემდე ჩატარებული თხუთმეტი ფიანალიდან 12-ში მსაჯი ევროპელი იყო, სამჯერ კი სამხრეთამერიკელი. მე-16 ფინალის მსაჯი — მაროკოელი ბელქოლა პირველი „სხვა კონტინენტელი“ არბიტრია.

გამოანგარიშებულია, რომ 12 ივლისის მატჩში მონაწილე 22 მოთამაშის საფეხბურთო ფასი შეადგენს 1,5 მილიარდ ფრანკს, მათგან ბრაზილიელებისა 840 მილიონს, ფრანგებისა კი 670 მილიონ ფრანკს. ყველაზე ძვირად ფასობენ რონალდო (220 მილიონი ფრანკი) და ზიდანი (150 მილიონი), ყველაზე იაფად კი ტაფარელი (10) და ლებეფი (25).

მე-16 ფინალის მონაწილე გუნდების ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე სტატისტიკური მონაცემიც:

| | ბრაზილია | საფრანგეთი |
|---|---|---|
| საშ. ასაკი | 29 წელი | 27,8 წელი |
| საშ. სიმაღლე | 1,79 სმ | 1,80 სმ |
| საშ. წონა | 73 კგ | 74 კგ |
| ნაკრებში თამაშის საშ. რაოდენობა | 54 | 35 |

და კიდევ რამდენიმე „ყველაზე“: მოედანზე ამ დღეს ყველაზე მაღალი და მძიმე გახლდათ ბრაზილიელი ჟუნიორ ბაიანო; ყველაზე დაბალი და ყველაზე მსუბუქი — ისევ ბრაზილიელი, რობერტო კარლოსი; ყველაზე ასაკოვანი — დუნგა; ყველაზე ახალგაზრდა რონალდო; ბრაზილიელთაგან ნაკრებში 99-ე მატჩი ითამაშა ტაფარელმა, ფრანგთაგან 76-ე დიდიე დეშამპმა.

### პროგნოზები

უმრავლესობა, სპეციალისტებიც და გულშემატკივრებიც, წარმატებას ფრანგებს უწინასწარმეტყველებდნენ. „ფრანს სუარის“ ცნობით, გამოკითხულ ფრანგთა 75 პროცენტი დარწმუნებული იყო თავისიანების გამარჯვებაში.

„ეკიპმა“ ასეთ გამოკითხვათა მთელი სერია მოაწყო და ძალზე საინტერესო ცნობები გამოაქვეყნა. ქვეყნის ჩემპიონატის უმაღლესი დივიზიონის გუნდების უფროსი მწვრთნელები (18 კაცი) თითქმის ერთსულოვანნი იყვნენ — გაიმარჯვებს საფრანგეთი (94,4 %). პირველი დივიზიონის გუნდების მოთამაშეთა გამოკითხვამ შედარებით განსხვავებული შედეგი მოგვცა — ფეხბურთელთა 70 პროცენტს მიაჩნდა, რომ ლურჯფეროვნები ჩემპიონები გახდებოდნენ.

უდავოდ საინტერესოა იმ გუნდების უფროსი მწვრთნელების აზრი, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე გამოდიოდნენ. მხოლოდ 14 კაცთან მოხერხდა დაკავშირება. ფრანგებისა სჯეროდა 9-ს, ბრაზილიელების — 4-ს; იუგოსლაველმა სანტრაჩმა ხელები გაასავსავა, ვერ ვიტყვი, თანაბარი შანსებიაო.

ახლა რამდენიმე ავტორიტეტსაც მოვუხმოთ. ფრანც ბეკენბაუერი, მიშელ პლატინი, იოჰან კრუიფი — საფრანგეთი. პელე — ბრაზილია. ფრანგთა ყოფილ ლეგენდარულ მწვრთნელს მიშელ იდალგოსაც სჯეროდა თავისიანების — მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ემე ჟაკე ორივე ფლანგზე თავდამსხმელს გამოიყვანდა. მოვუსმინოთ იოჰან კრუიფს: მე ბრაზილიური ფეხბურთის ქომაგი ვარ. მაგრამ დღევანდელი ნაკრების შესრულებით ეს ფეხბურთი საცოდავია. ესაა გუნდი ყოველგვარი ტაქტიკისა და სტრატეგიის გარეშე, თუმც დაკომპლექტებულია კარგი ფეხბურთელბით. საფრანგეთი, თავდასხმის ხაზში არსებული პრობლემების მიუხედავად, უკეთეს, უფრო თანამედროვე ფეხბურთს თამაშობს. თვით ფეხბურთისთვის ფრანგთა გამარჯვება აჯობებს.“

რომარიო არ გამორიცხავდა, რომ ფრანგები 3 ბურთს გაუშვებდნენ. როგორც ხედავთ, ბურთების რაოდენობა გამოიცნო. ოღონდ მისამართი შეეშალა.

თამაშის დღეს ვცდილობდი, ქუჩაში პარიზის სტუმრებს გავსაუბრებოდი. რესპონდენტთა შორის იყვნენ ვენელი სტუდენტები, მაროკოელი მუშა, ინგლისელი ბიზნესმენი, იტალიელი ფანები. ამ უკანასკნელთა გარდა ყველანი ფრანგების მოგებას ნატრობდნენ. აქვე შემთხვევით შევხვდი ირლანდიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, ეოკთა ევროპის ასოციაციის ვეცე-პრეზიდენტს პატრიკ ჰიკს. ისიც ფრანგების ქომაგი გამოდგა.

### მატჩის წინ

კვირადღე, პარიზი და პარიზელები ისვენებენ და ემზადებიან. ქალაქის ქუჩებში მოძრაობაა, ახალგაზრდები ჯგუფ-ჯგუფად დადიან შეძახილებით „თასი ჩვენია!“ მანქანები ხმაურიანი სიგნალებით და დროშების ფრიალით დიდი სისწრაფით მოძრაობენ, პოლიციელები თითქოს არც არსებობენ. ხალხმა შუადღიდან დაიწყო სტადიონისკენ სვლა. დღეს აშკარად გეცემა თვალში პოლიციელთა სიმრავლე. სტადიონის გარშემო, მისასვლელებთან ნაირფერებში გამოწყობილი მასა, ყოველ ათიოდე მეტრში ფოლკლორული წარმოდგენები, ცეკვები, სიმღერები, გამალებული ვაჭრობა სუვენირებით, ზედმეტი ბილეთების ძებნა. საზეიმო განწყობილება, ხალხს მუდმივად სანახაობა სჭირდება, ფულსაც არ იშურებენ. გულშემატკივართა ორივე ჯგუფი — დიდი ფრანგებისა, გაცილებით მცირე, მაგრამ ხმაურიანი ბრაზილიელებისა, მშვიდად თანაარსებობენ, ერთმანეს თითქოს ვერც კი ამჩნევენო, თავისთვის „ახურებენ“. ხალხი სეირს უყურებს, წარმოდგენის დაწყებამდე ხომ მთელი სამი საათია.

„სტად დე ფრანსმა“ კი ხალხის მიღება ექვსის ნახევარზე დაიწყო. ორი საათის შემდეგ კი დაიწყო ცნობილი მოდელიორის ივ სენ ლორანის მოდების ჩვენება — თხუთმეტწუთიანი გეომეტრიული ბალეტი, რომელშიც ხუთივე კონტინენტის 63 ქვეყნიდან 300 ტოპ-მოდელი მონაწილეობდა. ლამაზმანებიდან ყოველი მეექვსე ფრანგი გახლდათ, ამათ მერე კი მრავალრიცხოვნებით გამოირჩეოდნენ რუსები და ამერიკელები. შოუს „მსოფლიოს ფერები“ ერქვა და ძალზე ეფექტური იყო მისი დასასრული — ცისფერქსოვილგადაფარებულ საფეხბურთო მოედანზე წარმოდგენის დასასრულს გამოჩნდა ფირმის წითელი ლოგო.

შემდეგ საფეხბურთო მოედანი ეთმობა ცნობილ საესტრადო ვარსკვლავს რიკი მარტინს, მას, ცხდია, სტადიონიც აჰყვა.

იხილეთ მეხუთე გვერდი

# სამი მედლით გახსნის ცერემონიალზე

გუშინ მოსკოვში საზეიმოდ გაიხსნა რამდენიმე დღის წინ დაწყებული მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშები. ჭაბუკი სპორტსმენები თვით რუსეთის პრეზიდენტმა ელცინმა დააფასა და დამოძღვრა. ჩვენთვის საინტერესო კი ის იყო, რომ გახსნის დღეს ქართველებმა პირველი მედლები მოიპოვეს: ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეებმა დავით გუგუნაშვილმა (69 კგ) ვერცხლი, რამაზ ნოზაძემ (83) და დავით დოლიძემ (57) კი ბრინჯაო ირგუნეს.

**ავთანდილ გურასაშვილი**
მოსკოვიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა მშვენიერია რწმენა

ალჟირულმა გაზეთებმა ზინედინ ზიდანი საფრანგეთის ხელმწიფედ მონათლეს. უზარმაზარი პატივი ხვდა წილად მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ორი გოლის გამტანს — ისტორიულ სამშობლოში იგი განადიდეს.

„ზიდანი ბრწყინავდა“ — წერდა გუშინდელი „ელ ვატანი“, საფრანგეთის ყოფილი კოლონიის ერ-ერთი უდიდესი გაზეთი, რომელიც ამაყობდა იმით, რომ ზიდანის მშობლები ალჟირელები იყვნენ, დედაქალაქ ალჟირიდან 200 კილომეტრით დაშორებული რაიონის ხაბილის მკვიდრნი.

„ზიდანმა ბრაზილია ბეჭებზე გააკრა“ — ზეიმობდა გაზეთი „უთენტიკი“, რომლის პირველ გვერდზე თასალმართული ზინედინის და მისი ტრიუმფატორი თანაგუნდელების ფოტო იყო დაბეჭდილი.

იცით არაბულად ზინედინი რას ნიშნავს? ესაა „რწმენის მშვენიერება“.

ზიდანმა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ორი გოლი გაიტანა, მაგრამ გაზეთი „დემაინ ლ'ალჟირი“ ფაქტს განაზოგადებს და წერს: „ზიდანი 3 — ბრაზილია 0“.

„ელ მუჯაჰანის“ სათაური ასეთი იყო: „ჯადოსნური ზიზუ“. გაზეთი აცხადებს, რომ მისი კლასი და ნიჭი ფინალში ყველაფერს ფარავდა.

ფრანგული ფეხბურთის საამაყო შვილი თავად მარსელში დაიბადა. თუმცა, როგორც გითხარით მისი მშობლები ალჟირის ბერბერთა რეგიონიდან არიან გადასახლებულნი. ეს სწორედ ის რეგიონია, სადაც ბოლო ხანს დიდი შეტაკებები მოხდა, რისი მიზეზიც პოპულარული ბერბერი მომღერლის ლუნ მატუბის მკვლელობა გახლდათ.



სარბიელის არქივიდან




სარბიელის არქივიდან

ფრანგთა ტრიუმფალურ გამარჯვებას გვერდი ვერც ტრიუმფალურმა თაღმა აუარა

# დღესასწაულმაც არ დაახანა

საფრანგეთი ამაყია! სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან ოცნებას როგორც იქნა, ბოლო მოეღო და რეალობად იქცა. მსოფლიოს ჩემპიონობა უდიდესი ბედნიერებაა, მაგრამ სულ სხვა ხიბლი აქვს მას შინ, საკუთარ კედლებში. საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელებმა პირველად მოიპოვეს უძლიერესის ტიტული. მე-20 საუკუნეში ჩატარებულ პირველ მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი გოლი ფრანგმა გაიტანა. გუშინწინ კი ემანუელ პეტიმ მიმდინარე ასწლეულში ამ ტურნირის უკანასკნელი ბურთი შეაგდო და ამით ბრაზილიელთა განადგურებას წერტილი დაუსვა.

ჩემპიონატის დაწყებამდე მუდმივი კრიტიკის ქვეშ მყოფი ფრანგთა თავკაცი ემე ჟაკე, ბუნებრივია, სიხარულისგან მეცხრე ცაზე იმყოფებოდა. თუმცა ჟურნალისტებმა მაინც შეახსენეს ის დრო, როცა მას უამრავი ხალხი უნდობლობას უცხადებდა, მწვრთნელი ერთი წამით ჩაფიქრდა და სერიოზულად განაცხადა: „მე ამას ვერასოდეს დავივიწყებ, ეს საშინელი პერიოდი იყო“. თუმც სევდა უმალ სადღაც გაქრა. მწვრთნელი უსაზღვროდ ბედნიერი გახლდათ: „ჩვენი გამარჯვება უაღრესად დიდი სიხარულია, ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს — საფრანგეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონია!“

რადიკალურად განსხვავებულ ხასიათზე იმყოფებოდა ბრაზილიელთა სახელგანთქმული დამრიგებელი მარიო ზაგალო. ამაში გასაკვირი არაფერია, იგი ხომ ერთობ ახლოს იყო თავის და თავისი ნაკრების მეხუთედ გაჩემპიონებასთან: „ძალიან დიდი ტრავმა მივიღეთ. ეს კატასტროფაა. ვერ ითამაშა რონალდომ, მას გარკვეული პრობლემები ჰქონდა და რადგან გუნდი ძირითადად მასზეა აწყობილი, იგი მთლიანად მოიშალა“.

კითხვაზე, რატომ ვერ იასპარეზა რონალდომ სათანადოდ, ზაგალომ უპასუხა — იმიტომ ვერ ითამაშა, რომ ვერ ითამაშაო. ასეთი პრიმიტიული პასუხი, ალბათ, გადამეტებული მწუხარებით იყო გამოწვეული და იქნებ იმასაც ნიშნავდა, რომ რონალდოს უთამაშებლობა უბრალოდ არ იქნებოდა.

თუმცა, ისევ ფრანგებს დავუბრუნდეთ და ვნახოთ, რა ხდებოდა 12 ივლისის ღამეს მსოფლიოს ამ ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქში. ზეიმი ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც ზიდანმა პირველი ტაიმის მიწურულს ბრაზილიელთა კარის ბადე მეორედ შეარხია. სტადიონზე მისულ ფრანგთა გულშემატკივრებს, ალბათ, გული უგრძნობდათ — 68-წლიან უტიტულო ისტორიას ბოლო ეღებოდა. პეტის გატანილის შემდეგ დღესასწაულმა კიდევ უფრო იმძლავრა, ხოლო როდესაც მაროკოელმა არბიტრმა ჩაიდ ბარკოლამ დედამიწის მოსახლეობას ახალი ჩემპიონის დაბადება აუწყა, პარიზი სიხარულისა და ბედნიერების მორევში ჩაეშვა. საფრანგეთის თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსული ურიცხვი ქომაგი უმალ მოედო ქალაქის ქუჩებს, ზოგი ტიროდა, ზოგი იცინოდა, ზოგი უბრალოდ ყვიროდა. ეიფელის კოშკთან თავშეყრილი, შამპანურის ბოთლებით „შეიარაღებული“ ფანები თავიანთი ქვეყნის და ფრანგი ფეხბურთელების სადღეგრძელოებს მიირთმევდნენ. იმ ღამეს პარიზის ულამაზეს ქუჩებში დაახლოებით მილიონი უბედნიერესი ადამიანი ხარობდა. „ეს დაუჯერებელია. დარწმუნებული ვარ, აქ ამდენი ხალხი, თანაც ყველა გახარებული 1944 წლის, ფაშისტებისგან განთავისუფლების აღმნიშვნელი დღესასწაულის შემდეგ, არ ყოფილა“ — განაცხადა ერთმა ხანში შესულმა ფრანგმა.

ელისეის მინდვრები ახალგაზრდებს დაეპყროთ, რომლებიც მთელი ღამის განმავლობაში ცეკვავდნენ და მღეროდნენ. ყოველ კუთხე-კუნჭულში საფრანგეთის ეროვნული დროშა ფრიალებდა. ზეიმობდა მთელი საფრანგეთი — მისი არც ერთი ქალაქი თუ სოფელი არ დარჩენილა, ეს ისტორიული გამარჯვება საკადრისად არ აღნიშნულიყო. მაგრამ მთავარი მაინც ქვეყნის გულში ხდებოდა, სადაც აღტაცებული ქომაგები, დიდი თუ პატარა, ფინალური მატჩის უდავო გმირის, ზინედინ ზიდანის გაპრეზიდენტებას მოითხოვდა, ხოლო ტრიუმფალურ თაღზე მთელი ღამის განმავლობაში კაშკაშებდა წარწერა — „მერსი, ზიზოუ!“

**დავით კოშზირიძე**

# მან მსოფლიოს საფრანგეთი 98 აჩუქა

წარსულში საფრანგეთის ნაკრების ლეგენდარული ნახევარმცველი მიშელ პლატინი, მართალია, ჩვეული ოსტატობით დიდი ხანია აღარ გვხიბლავს, მაგრამ ამ ზაფხულს მან იქნებ იმაზე მეტიც გააკეთა, რასაც ფეხბურთელობისას ახერხებდა.

წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატი მართლაც კარგად ორგანიზებული გახლდათ. რა თქმა უნდა, იყო ცალკეული ხარვეზები, ურომლისოდაც, ალბათ, ვერც ერთი დიდი ტურნირი ვერ ჩაივლის, მაგრამ მთლიანობაში საყოველთაო აღიარებით საფრანგეთი 98-მა საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა.

გულშემატკივრები და პირველობაზე საგანგებოდ მივლენილი სპეციალისტები ამას ბუნებრივად აღიქვამდნენ და შეიძლება მრავალი მათგანი არც დაფიქრებულა იმაზე, თუ ვისი დამსახურება გახლდათ ყოველივე ეს.

მიშელ პლატინი — აი, ვინ გახლავთ ამ ლამაზი სანახაობის სულისჩამდგმელი. არადა, ხუთი წლის წინ, როცა ფრანგი მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარედ აირჩიეს, ბევრმა მისი ამ თანამდებობაზე დანიშვნა სიმბოლურად მიიჩნია. თავად პლატინიც თავის შესაძლებლობებზე მოკრძალებით საუბრობდა. „მინდორზე თამაში ყოველთვის უკეთ მეხერხებოდა. ასეთი სერიოზული რამ კი არასდროს მიკეთებია და ვფიქრობ დიპლომატით სიარული ჩემი საქმე არ არის“ — ალალად ამბობდა მიშელი. სკეპტიკოსებსაც მეტი რა უნდოდათ — ისინი ერთხმად აცხადებდნენ, მსოფლიოს ჩემპიონატი ჩაფლავდებაო.

თუმცა დრო გავიდა და ყველამ კარგად იხილა, რომ ფეხბურთელიც და მისი არაკეთილმოსურნეებიც საშინლად ცდებოდნენ. პლატინიმ საკუთარი თავი საუკეთესო მხრიდან წარმოაჩინა. იგი იდეებით აღსავსე, ენერგიული და მიზანსწრაფული კაცი აღმოჩნდა. ყველაზე საგულისხმო მის საქმიანობაში კი ის იყო, რომ პლატინის ძალიან სურდა, საფრანგეთი 98 ყველა სხვა პირველობისგან განსხვავებული, ორიგინალური ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ მის მოსაზრებებს უამრავი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, მიშელმა მაინც ბოლომდე მიიყვანა თავისი სამივე ჩანაფიქრი.

პლატინის მიერ შეთავაზებული პირველი სიახლე ჩემპიონატის წილისყრის ღია სტადიონზე გამართვა გახლდათ. ეს ცერემონიალი აქამდე მუდამ დახურულ შენობებში იმართებოდა და ამიტომ შეიქმნა საშიშროება, რომ დეკემბრის ცივ საღამოს ყველაფერი ისე არ გამოვიდოდა, როგორც ამას შოუს შემქმნელი იმედოვნებდა. თუმცა საბოლოოდ პლატინის გაუმართლა და მისი წარმატებებიც იმ დღიდან დაიწყო.

კარგად ჩატარებულ წილისყრას კიდევ ორი იდეის განხორციელება მოჰყვა. ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ფრანგი ფანებისთვის მატჩებზე დასასწრები ბილეთების იაფ ფასებში გამოყოფა და ჯგუფური ტურნირის დროს თითოეული გუნდისთვის საფრანგეთის ერთი ქალაქიდან მეორეში გადაფრენის აუცილებლობა სწორედ პლატინის ჩანაფიქრი იყო.

მოკლედ, პლატინიმ ყველას დაანახა, რომ უმაღლეს დონეზე არა მხოლოდ ფეხბურთის თამაში შეეძლო. ფეხბურთის, სადაც იგი ნამდვილი მეფე იყო. მიშელი სამართლიანადაა მიჩნეული საფრანგეთის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ და ამაზე მისი თვალისმომჭრელი ტიტულებიც მეტყველებს. ევროპის 1984 წლის ჩემპიონი იტალიურ „იუვენტუსში“ ასპარეზობისას ჩემპიონთა და თასთა თასის მფლობელიც გახდა. თუ ამას 1983-85 წლებში ევროპის საუკეთესო ფეხბურთელობას დავუმატებთ, ნათელი იქნება, თუ რა დონის ფეხბურთელთან გვაქვს საქმე. თუმცა... პლატინის კოლექციაში არ არის მთავარი ჯილდო. ჯილდო, რომლის მოპოვებაც ნებისმიერი მოთამაშის უპირველესი ოცნებაა და რომელშიც პლატინი, ალბათ, დიდი სიამოვნებით გაცვლიდა ყველა ტიტულს.

მიხვდით, ალბათ, ეს ბრწყინვალე ნახევარმცველი მსოფლიოს ჩემპიონი არასდროს ყოფილა. არადა, ამის საუცხოო შესაძლებლობა მას 1982 და 1986 წლებში ჰქონდა. ორჯერვე საფრანგეთის უძლიერესმა ნაკრებმა ნახევარფინალში გასვლა მოახერხა და ორჯერვე ტურნირი გერმანელებთან მარცხის გამო დატოვა.

ახლა კი, თითქოს ბედის ირონიააო, იმ ლეგენდარულ ნაკრებთან შედარებით დაბალი კლასის ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა საფრანგეთის ეროვნულმა გუნდმა 12 ივლისს „სან დენის“ ტრიბუნებზე მყოფი პლატინის თვალწინ ამდენი ხნის ნანატრი თასი მოიგო. არა მგონია, ნაკრების მაისურში გამოწყობილ საფრანგეთის პრეზიდენტ ჟაკ შირაკის გვერდით მჯდომ მიშელს თავისიანების გამარჯვება არ გახარებოდა. პირიქით, იგი მეტად ემოციურადაც გამოხატავდა აღტაცებას, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, ფეხბურთელობისას ასეთი წარმატების მიღწევის ხელიდან გაშვებული შანსი სიცოცხლის ბოლომდე სანანებლად დარჩება ლეგენდარულ მოთამაშეს.




სარბიელის არქივიდან

მიშელ პლატინის ოცნება აუხდა: საფრანგეთი მსოფლიოს ჩემპიონია

თუმცა პლატინის საკუთარ წარსულზე საფიქრალად არ სცალია. მართალია, ფრანგებმა ჩემპიონობა მოიპოვეს და ახლა იქ საყოველთაო ზეიმია გამოცხადებული, მაგრამ მიშელი დასვენებისთვის დროს ვერ პოულობს. ამ დღეებში მას ფიფას პრეზიდენტ იოზეპ ბლატერთან შეხვედრა ელის, სადაც ეს ორი პატივცემული პირი ფიფაში პლატინის სამომავლო თანამდებობაზე ისაუბრებს. სავარაუდოდ, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ფრანგი უპირველეს საფეხბურთო ორგანიზაციაში გენერალური დირექტორის ადგილს დაიკავებს.

**ირაკლი ხმელიძე**

# ცრემლები ბრაზილიაში

ჰოლანდიის ნაკრების წინააღმდეგ გამართულ ნახევარფინალურ შეხვედრაში გამარჯვების შემდეგ ბრაზილიაში საყოველთაო ზეიმი სუფევდა. არც ერთ გულშემატკივარს იოტისოდენა ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ მათი საყვარელი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვებას შეძლებდა.

უზომოდ გახარებული ქომაგები 12 ივლისს უეჭველი ტრიუმფის მოლოდინში ქუჩებში გამოფენილიყვნენ. ეროვნული დროშის ფერებში გამოწყობილნი მაშხალების სროლითა და საყვირებით ყურისწამლები ზუზუნით საზეიმო ფერხულში ჩაბმულიყვნენ, „ნარინჯისფერთა" ძლევით საქმე მოთავებული ეგონათ და ფრანგებთან შეხვედრას აინუნშიც არ აგდებდნენ.


სარბიელის არქივიდან

დაღონებულან ბრაზილიელი ქომაგნი: ჩემპიონობა ამჯერად ფრანგებს დარჩათ

მაგრამ კვირას საღამოს სიტუაცია მკვეთად შეიცვალა. ჯერ კიდევ პირველ ტაიმში ცხადი შეიქმნა, რომ ბრაზილიის ნაკრები ფინალური შეხვედრის მოგები არ იყო. ფრანგებმა საიმედოდ გადაკეტეს საკუთარი კარის მისადგომები და თავდასხმის დიდოსტატ სამხრეთამერიკელებს სახიფათო მომენტების შექმნის საშუალება არ მისცეს. თვით მსოფილოს საუკეთესო ფეხბურთელი რონალდოც სადღაც დაკარგულიყო და იშვიათად თუ გაიელვებდა.

გუშინწინ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთა დამარცხებას მთელი ბრაზილია გლოვობდა. 0:3 განადგურებამ ამ სამხერთამერიკული ქვეყნის მცხოვრებთ სიამაყე საგრძნობლად შეულახა. დუხჭირი ცხოვრებით შეჭირვებულებს ერთადერთ ნუგეშად ხომ გამაოგნებელი სილამაზის ფეხბურთი აქვთ, სადაც წლების განმავლობაში უდიდესი წარმატებები არ მოჰკლებიათ.

რიო დე ჟანეიროს ცნობილ „კოპაკაბანას" სანაპიროზე ათასობით გაწბილებული ფანი თავსხმა წვიმაში ერთმანეთს მიჰკროდა და თვალები აცრემლებოდა. მრავალი მათგანისთვის კი ეს იმდენად აუტანელი ტანჯვა გამოდგა, რომ მათ საქვეყნოდ ტირილს შინ განცალკავება ამჯობინეს.

— ეს ყველაზე ნაღვლიანი დღეა ჩემს ცხოვრებაში. ნამდვილად არ გვეგონა, რომ დღეს წავაგებდით. მთელი ტურნირის განმავლობაში ხომ ყველას ვჯობდით და უმძიმესი ნახევარფიანლის გადატანის შემდეგ ვერაფრით ვიფიქრებდით, თუ მოგება სანატრელი გაგვიხდებოდა. არა, ეს წაგება აუტანელია, რადგან იგი ისეთ ქვეყანასთან განვიცადეთ, რომელსაც არანაირი საფეხბურთო ტრადიციები არ გააჩნია — ზლუქუნებდა ტირილისგან თვალებდაწითლებული 29 წლის გეოგრაფი ავლინიო პერეირა.

ფეხბურთი ბრაზილიისთვის მართლაც ეროვნული სიამაყეა. ხალხი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე გამეფებულმა ეკონომიკურმა ქაოსმა და ყოვლისმომცველმა სიღარიბემ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო, ამ თამაშს ლამის აღმერთებს. არცთუ ტყუილად — მხოლოდ ფეხბურთი ჰგვრით მათ სულიერ შვებას. ამიტომ იყო, რომ 10 ივნისიდან მოყოლებული მთელი ქვეყანა თავის ნაკრებზე ლოცულობდა და მისგან მსოფლიოს თასის მეხუთედ მოგებას მოითხოვდა. ბრაზილიელთა მარცხი მთელს სამხრეთ ამერიკაში ძალზე მტკივნეულად აღიქვეს, რადგან იქ ბრაზილია — საფრანგეთის დაპირისპირებას მდიდარსა და ღარიბს შორის დამოკიდებულებასთან აიგივებენ.

— ვერაფრით გაგვიგია, როგორ შეუძლია ისეთი მაღალი კლასის ნაკრებს, როგორიც ბრაზილიაა, გუშინდელივით უფერული ფეხბურთის ჩვენება. ჩვენი აზრით, ფინალმა ერთობ საეჭვო ვითარებაში ჩაიარა. გუნდმა, რომელიც წინა ეტაპებზე ყველა მეტოქეს სასტიკად უსწორდებოდა, ფრანგებთან რატომღაც ვერაფერი გააწყო. იქნებ მასპინძლებმა ზაგალოს ბიჭები მოქრთამეს? არ არის გამორიცხული, რადგან ლატაკი სამხერთამერიკელი ფულის სანაცვლოდ ყველაფერს გააკეთებს — ასე შეაფასა ფინალი მექსიკის რადიოს ერთ-ერთმა არხმა, რომელმაც სავსებით სერიოზულად განაცხადა, ბრაზილიელებმა მატჩი შეგნებულად წააგესო.

საყურადღებოა შეხვედრის წინ ბრაზილიური ტელეარხის მიერ ჩატარებულმა საყოველთაო გამოკითხვა: მოსახლეობის 86 პროცენტი თავისი ნაკრების უეჭველ გამარჯვებაში იყო დარწმუნებული და მხოლოდ 14-ს აეჭვებდა საბოლოო შედეგი.

ბრაზილიის ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ქალაქ სან პაულუში წაგებით გულდაწყვეტილმა ქომაგებმა გუნდის წინააღმდეგ საგანგებო აქციაც კი მოაწყვეს. ისინი ყვითელ-მწვანე ფერებით გაწყობილ ეროვნულ დროშებს ძირს მიათრევდნენ და საკუთარ ფეხბურთელებს ზიზღნარევი სიტყვების უმასპინძლდებოდნენ.

— ვფიქრობ, ფრანგებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს. ჩვენ ხომ რეალურად სულ რამდენჯერმე დავემუქრეთ მათ კარს. გუნდი რომ ფინალს 0:3 წააგებს, სათქმელიც არაფერია — თქვა სან პაულუს მცხოვრებმა ბარბარა კორეამ.

თუმცა, რა თქმა უნდა, იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც წაგება ვაჟკაცურად გადაიტანეს. მართლაც, თუ კარგად დავუკვირდებით, ბრაზილიელებს სანერვიულო არაფერი აქვთ. გუშინწინდელი მარცხის მიუხედავად, ისინი მაინც ერთადერთ გუნდად რჩებიან, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონობა ოთხჯერ მოუპოვებია.

— წაგებამ გული არ უნდა დაგვწყვიტოს. ჩვენ ხომ კვლავაც მსოფლიოში საუკეთესო ნაკრები გვყავს და ამას ყველა აღიარებს — ასეთი გახლდათ 21 წლის პირენოპოლელი სტუდენტის აზრი.

— მსოფლიოს პირველობაზე მეორე ადგილის დაკავებას ბრაზილიაში ეროვნულ ტრაგედიად აღიქვამენ, მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ ეს ასე ნამდვილად არ არის. ფინალში გასვლა ხომ ნებისმიერი გუნდისთვის უდიდესი წარმატებაა. ჩვენ გადამწყვეტ მატჩამდე ბრწყინვალე სტილში მოგებული თამაშებით მივედით და იქ მხოლოდ მასპინძლებთან დავმარცხდით. ისიც არავის დავიწყებია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება ოთხჯერ აქამდე მხოლოდ ჩვენ შევძელით — განაცხადა ფეხბურთის მეფე პელემ „გლობო ტელევიზიონთან" საუბრისას.

მოკლედ, ბრაზილიაში ტირიან, მაგრამ ფაქტს ვერსად წაუხვალ — ნაკრები კვლავაც ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. სამხრეთამერიკელ ქომაგებს შეუძლიათ მშვიდად ბრძანდებოდნენ — მათი გუნდი მარცხს არასდროს შეეგუება და მის წარმატებებსაც, ალბათ, სულ მალე ვიხილავთ.

## ავარია ელისეს მინდვრებზე

ელისეს მინდვრებზე პარიზელებმა მთელი ღამე ზეიმში გაატარეს, მაგრამ 3 საათზე ზეიმი დიდმა უსიამოვნებამ დაჩრდილა. ხალხში შევარდა მანქანა, რომელმაც 80 ადამიანი დააშავა, რომელთაგან თერთმეტი, როგორც ამბობენ შედარებით მძიმედაა.

მძღოლი გახლდათ 40 წლის ქალი, რომელიც ინციდენტიდან რამდენიმე საათის შემდეგ თვითონ მივიდა პოლიციაში.

როდესაც ელისეს მინდვრებზე მოზეიმე ხალხის ტევა არ იყო, ამჟამად უკვე იველინის სატუსაღოში მოთავსებულმა ქალბატონმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ტრიუმფალურ თაღთან მდგომ მოზეიმეთა ჯგუფში შეაგდო მანქანა.

როგორც საავადმყოფოდან მიღებულ ცნობაში წერია, დაშავებულთა სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

პარიზის პოლიციის ცნობით მთელი ღამის განმავლობაში თავშეყრის ადგილი თითქმის 1,5 მილიონმა ადამიანმა მოინახულა.

სხვათა შორის ამ ავარიამდე ცოტა ხნით ადრე იმავე ელისეს მინდვრებზე, „ლე ფუკეტსის" რესტორანთან სხვა მანქანაც დაეჯახა გახარებულ გულშემატკივართა ჯგუფს. ერთი ადამიანი სერიოზულად დაშავდა, ორი თუ სამი, ნაკლებად.

გრენობლში, საფრანგეთის ალპებში, მძღოლი, რომელიც გულშემატკივრებს დაეჯახა, ცემეს.

„კოჭი და მხარი ოთხ ადამიანს დაუზიანდა, მძღოლს მანქანის გაჩერება აიძულეს, გალახეს და საავადმყოფოში წაიყვანეს" — განაცხადა ერთ-ერთმა შემსწრე გრენობლელმა.


სარბიელის არქივიდან

ელისეს მინდვრებზე 80 ადამიანი დაშავდა

როდესაც 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონი, ბრაზილიის ნაკრები ამერიკიდან შინ დაბრუნდა, თვითმფრინავის საბარგო განყოფილებიდან ფეხბურთელების მიერ შეძენილი უამრავი იაფფასიანი საოჯახო ნივთი გადმოზიდეს. ამჯერად მათი ნაქირავები MD-11-იდან ბინძურ თეთრეულს ამოქექავენ, რათა შეიტყონ, რა მოხდა იქ, ბრაზილიელთა გასახდელში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის დღეს.

მართლა ავად იყო რონალდო? თუ ავად იყო, კოჭი ტკიოდა, მუცელი თუ ფსიქოლოგიურად დაითრგუნა? ერთსულოვანნი იყვნენ ფეხბურთელები?

იმ 55 დღის განმავლობაში ბრაზილიელებმა საფრანგეთში რომ გაატარეს, არ ცხრებოდა ჭორაობა, თითქოს სცენის მიღმა რაღაც ინტრიგა იყო გახლართული.

## იდუმალებით მოცული ფინალი

ახლა ამ ხმებს მეტი და მეტი მნიშვნელობა ენიჭება.

უშუალოდ ფინალის წინ მომხდარმა კი ყველას თვალი მოჭრა. თავიდან ითქვა, რომ რონალდო ვერ ითამაშებდა, შემდეგ გამოცხადდა, რომ იგი შემადგენლობაში იყო, თამაშის წინ კი გუნდი მოთელვაზე არ გავიდა და რაღაც იდუმალი კითხვისნიშანი შვა.

ორშაბათს პარიზში ჭორი გავარდა, რომ გადაჭარბებული პასუხისმგებლობით გადაღლილი რონალდო სრულიად ჯანმრთელი გახლდათ.

თამაშის მერე მწვრთნელმა მარიო ზაგალომ კი განაცხადა, რომ რონალდოს წესითა და რიგით არ უნდა ეთამაშა, რადგან შეუძლოდ იყო.

„სულ ვფიქრობდი, რომ რონალდო მოედანზე არ უნდა გამეშვა, მაგრამ თავად მითხრა, მოვმჯობინდი და თამაში შემიძლიაო. მეც სხვა გზა აღარ მქონდა. რომ არ დამესახელებინა შემადგენლობაში, თავს ახლანდელზე უარესი კრიტიკა დამატყდებოდა" — თქვა მან.

ნაკრების ერთ-ერთმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რონალდო შუადღისას საავადმყოფოშიც კი წაიყვანეს და მაშინ გადაწყდა, რომ მის ნაცვლად ფინალში ედმუნდო ითამაშებდა.

როდესაც ზაგალოს სასტუმროში ფეხბურთელები სალაპარაკოდ შეუკრებია, მათთვის შეუხსენებია, რომ ბრაზილიამ 1962 წელს პელეს გარეშე მოიპოვა მსოფლიოს თასი. მაგრამ შემდეგ კიდევ უფრო უცნაური ამბები დატრიალდა. რონალდო სტადიონზე გუნდისგან დამოუკიდებლად მივიდა და განაცხადა, რომ თამაში შეუძლია.

აქ ჩნდება მორიგი საიდუმლო. როგორ შეხვდა ამ ამბავს ედმუნდო, რომელიც უკვე განწყობილი იყო სასტარტო შემადგენლობაში გასასვლელად?

რივალდო და რონალდო ერთმანეთთან ძაღლ-კატობანას მთელი ჩემპიონატის მანძილზე უარყოფდნენ. ედმუნდომ რიო დე ჟანეიროს რადიოთი განაცხადა, რომ იგი ბებეტოზე უკეთესი ფეხბურთელია და საერთოდაც, ბებეტო გუნდში მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ რომარიო დაშავდა.

რომარიოს არწაყვანაც დიდი საიდუმლოა. ჩემპიონატამდე რამდენიმე დღით ადრე გუნდის ექიმმა ლიდიო ტოლედომ ხომ თქვა, რომ მას თამაშებისთვის მოარჩენს.

**ბრაიან ჰოუმვუდი, როიტერი**


სარბიელის არქივიდან

## ვაცადოთ რონალდოს განმარტოვება

ნუ დაგვავიწყდება, რომ ის მხოლოდ 21 წლისაა. მისი თანაგუნდელები გრძნობდნენ, რომ სუპერვარსკვლავს ფინალამდე რამდენიმე საათით ადრე ემოციური კრიზისი უნდა დასდგომოდა.

„ვფიქრობ, ყველაფერი მღელვარების ბრალია" — განმარტავს რობერტო კარლოსი — „რონალდომ სცადა კარგად ეთამაშა, მაგრამ არ გამოუვიდა. მატჩის დღეს, დაახლოებით ოთხ საათზე ის უეცრად ავად გახდა. თითქოს ციებ-ცხელება შეეყარაო, ძალიან უცნაური სანახავი იყო. მაგრამ 21 წლის ბიჭს, რომელსაც მრავალმილიონიანი კონტრაქტები აქვს დადებული, ეს შეიძლებოდა მოსვლოდა. სამწუხაროდ, მისი სტრესი მაინცდამაინც ფინალს დაემთხვა."

ბრაზილიელთა მწვრთნელმა მარიო ზაგალომ დაადასტურა, რომ რონალდო თავს შეუძლოდ გრძნობდა და წესით არც უნდა ეთამაშა, მაგრამ ბოლო წამს მან მაინც გადაწყვიტა თავდამსხმელის მოედანზე გაშვება. მიზეზი მეტოქეზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება გახლდათ.

გუნდის ექიმის, ლიდიო ტოლედოს განცხადებით ბრაზილიის საუკეთესო ფეხბურთელს კვირას, საუზმიდან ორი საათის შემდეგ კუჭი აეშალა და დიდი სამედიცინო ჩარევის შემდეგღა მოხერხდა მისი შემადგენლობაში დასახელება.

პრეს ატაშემ ნელსონ ბორგემ მხრები აიჩეჩა. როდესაც ჰკითხეს, რონალდო რამ მოწამლაო, მან უპასუხა, რომ ფეხბურთელს ახალი და განსხვავებული არაფერი უჭამია. თან მისი და სხვა მოთამაშეების საკვები ერთი და იგივე იყო.

სულ სხვა რამ ეწერა „სტად დე ფრანსზე" თამაშის დღეს გავრცელებულ პრესრელიზში. იმ ოფიციალური დოკუმენტის თანახმად, რონალდოს კოჭი ჰქონდა ნატკენი და მხოლოდ გვიანმა ტესტმა დაადასტურა, რომ მას თამაშის უნარი შესწევს. იქ ეწერა, რომ ფორვარდს ორი დღის განმავლობაში არ უვარჯიშია, ამიტომაც მოედანზე მისი გასვლის ამბავი მხოლოდ შეხვედრამდე 45 წუთით ადრე გადაწყდა.

ამრიგად, ფეხბურთელზე, რომელმაც ტურნირზე ოთხი გოლი გაიტანა და სხვა მხრივაც ძლიერად ითამაშა, ახლა ამბობენ, იმედი გაგვიცრუაო. ერთი შეხედ-ვით ამ ჩემპიონატზე გამოსვლით მან პელეს თანავარსკვლავედში ვერ დაიმკვიდრა ადგილი, არადა ხალხი, ეტყობა, სწორედ ამას ელოდა.

თუმცა ცხოვრება წინაა, მეხსიერება კი მოკლე რამ გახლავთ. განა სულ ახლახანს არ იყო, რონალდომ რიო დე ჟანეიროს „ფლამენგოს" ახალგაზრდული გუნდი მხოლოდ იმიტომ რომ დასტოვა, ვარჯიშზე მისვლა-წამოსვლა დღეში ათი ცენტი მიჯდებაო? და დღეს? დღეს იგი მილიონერია, მსოფლიოს 1996 და 1977 წლების საუკეთესო ფეხბურთელი. მხოლოდ სარეკლამო შემოსავლით შეუძლია შვილიშვილები არჩინოს.

„მე ცოლშვილი მყავს, რონალდოს კი არა. მე ოჯახი დამამშვიდებს და გამამხნევებს, ის კი, იმედი მაქვს, ჩავა ბრაზილიაში და კარგად დაისვენებს. მოდი, ამ ბიჭს ცოტა ხნით თავი დავანებოთ, განმარტოვება ვაცადოთ." — ამბობს რობერტო კარლოსი.

# ALLEZ, ALLEZ FRANCE

## ჩემპიონატის დღიური

FRANCE 98

**12 ივლისი**

ლაშა გოდუაძე

### დიდი ეპილოგი

გასრულდა მსოფლიოს მე-16 ჩემპიონატი, ძალიან, ძალიან ლამაზი, საინტერესო და დაძაბული ტურნირი.

თვეზე მეტს, ანუ 33 დღეს გრძელდებოდა ფეხბურთის ზეიმი, ხალხის, უფრო სწორად, გულშემატკივრების სიხარული. ახლა უკვე მოგონებაა ყველაფერი, ბევრისთვის ტკბილი, ბევრისთვის უსიამოვნო მოგონება. გუშინწინდელი ფინალიც, მსოფლიოს ახალი, რიგით მეშვიდე ჩემპიონი რომ აჩუქა. საფრანგეთი ღირსეულად დაეუფლა ოქროს თასს.

ამბობდნენ, უძლიერესი მოიგებსო და მართლაც ასე მოხდა. გამარჯვებულებს არ ასამართლებენო, ნათქვამია. ეს გამონათქვამი რამდენიმე ხნის შემდეგ მაინც დაკარგავს აზრს — გაივლის თვე, თუნდაც ორი, ფრანგთა გუნდს კარგსაც მოუწონებენ და ნაკლსაც აღმოუჩენენ, მაგრამ ახლა, როცა მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებიდან ორიოდ დღეა გასული, მსოფლიოს ჩემპიონთა ხარვეზებზე საუბარი, უბრალოდ, უადგილოა. დრო ყველაფერს განსჯის.

საუცხოო ფინალით დამთავრდა უდიდესი საფეხბურთო ტურნირი და საფეხბურთო ისტორიის ერთ-ერთ ფურცლად იქცა, თუმცა უპრიანი არ არის ახლადდასრულებულ შეჯიბრზე უკვე წარსულში ილაპარაკო. მას ხომ ხალხი წლობით ელის. ჩვენც ნუ ვიჩქარებთ მსოფლიო ჩემპიონატის ტკბილ მოგონებად აღქმას. დასრულებული საფრანგეთი 98 მაინც დღევანდლობად რჩება. მოგონებებისთვის დროც მოვა, ახლა კი...

### ჩვენ ჩემპიონები ვართ!

შეხვედრა, უფრო სწორად, უბრწყინვალესი ფინალის ძირითადი დრო ამოიწურა. ახლა მსაჯის მიერ დამატებული სამი წუთიც გაილევა და საფრანგეთიც ოფიციალურად გახდება მსოფლიოს ჩემპიონი. საეჭვოა, ბრაზილიელებმა ორი ბურთი გაქვითონ, სხვა თუ არაფერი, მეტოქე უძლიერესია.

და სწორედ მაშინ, როდესაც ბრაზილიელებსა და მათ თავგადაკლულ ქომაგებს იოტისოდენა იმედი შერჩენოდათ, ფრანგებმა კონტრშეტევა განახორციელეს — ახლადშესულ პატრიკ ვიეირას მოდუნებულ ბრაზილიელ მცველებს შორის ემანუელ პეტისთვის ბურთის „გაჭრა“ არ გასჭირვებია და ტაფარელთან დაპირისპირებულმა არსენალელმაც მესამედ დალაშქრა მსოფლიოს ჩემპიონთა კარი. ასეთი რამ არ ახსოვთ ბრაზილიელებს — მანამდე მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებს მსოფლიოს პირველობებზე ასე საშინლად არ წაუგიათ.

საპატიო სტუმართა ლოჟაში მყოფ პლატინისა და ფრანგთა პრეზიდენტ ჟაკ შირაკს ეტყობათ, რომ უდიდესი სიხარულისთვის ემზადებიან. პრეზიდენტები (მსოფლიოს ჩემპიონატის ორგკომიტეტისა და საფრანგეთისა) უკვე ფეხზე დგანან. პეტის გოლმა, არა მარტო ისინი, არამედ მილიონობით ფრანგი გამარჯვებაში დაარწმუნა. მალე ბელკოლიმ ფინალი, შესაბამისად, მსოფლიოს ჩემპიონატიც დაამთავრა — თასი საფრანგეთში დარჩა, ქვეყანაში, რომლის თაოსნობითაც დაედო სათავე მსოფლიოს ჩემპიონატს ფეხბურთში.

დედამიწას ახალი, რიგით მეშვიდე ჩემპიონი მოევლინა. მანამდე უძლიერესის სახელის დაგდება სხვადასხვა წლებში ბრაზილიამ, იტალიამ, გერმანიამ, არგენტინამ, ურუგვაიმ და ინგლისმა მოახერხეს. 1998 წლის 12 ივლისის შემდეგ მათ საფრანგეთი შეუერთდა.

პეტის გოლამდე ზინედინ ზიდანის ორი უბრწყინვალესი თავური დარტყმა იყო. ბურთმა ორივე შემთხვევაში შეარხია კლაუდიო ტაფარელის კარის ბადე.

მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი წლეულს ალბათ ზიდანი გახდება — გენიალურმა გამთამაშებელმა ჩემპიონატამდეც ბრწყინვალედ ითამაშა (ტურინის „იუვენტუსში“), ნაკრებში კი საერთოდაც სასწაულებს სჩადიოდა. შეუძლებელი იყო, ზიდანის კლასის ფეხბურთელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთი გოლი მაინც არ გაეტანა — ასეც მოხდა, ოღონდ ზინედინმა ორი შეაგდო, ორი ოქროს გოლი.

მერე იყო დაჯილდოება — ფიფას თავკაცთა წინ ამხტარი ფრანგები და მათი კაპიტანი დიდიე დეშამპი ოქროს თასით. სიხარულს უდიდეს ელფერს მატებდა აწ განსვენებული ფრედი მერკურისა და ლეგენდარული „QUEEN“-ის უკვდავი სიმღერა „WE ARE THE CHAMPIONS“. ენით არ გამოითქმის ის გრძნობა, „სტად დე ფრანსზე“ რომ სუფევდა. ფრანგებს უხაროდათ, სხვები კი, ცხადია (ბრაზილიელთა გარდა) ფრანგთა ბედნიერებას გაელაღებინა.

12 ივლისის ფინალი და ფრანგთა ფინალისშემდგომი სიხარული დაუვიწყარი გახლდათ. შეუძლებელია, იგი იხილო და შენც იგივეს განცდის სურვილი არ გაგიჩნდეს. სხვებმა, როგორც ჩანს, სულ ცოტა ოთხი წელიწადი უნდა მოიცადონ. ახლა 2002 წლამდე ფრანგების ჯერია.

უკლებლივ ყველა მსოფლიოს ჩემპიონმა აღმართა ოქროს თასი, სანუკვარ ჯილდოს ჟაკე და მისი თანაშემწენიც კოცნიდნენ. ხარობდა საფრანგეთი.

— ამ გამარჯვებისთვის წლობით ვილწვოდით. შრომა დაგვიფასდა და დღეს ჩვენზე ბედნიერი არავინაა. საფრანგეთი ჩემპიონია! საფრანგეთი მსოფლიოს ჩემპიონია! საფრანგეთი მსოფლიოს უძლიერესი გუნდია! — გაძევებული მარსელ დესაი დარდგადაყრილი ჩანდა. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო — ფრანგებმა ოცნება აისრულეს. მარსელ დესაიც ერთ-ერთი მათგანი გახლდათ, მასპინძელთა გამარჯვება რომ განაპირობა.

— საფრანგეთი ჩემპიონია, ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონები ვართ! ოქროს თასი ჩვენია! — იცრემლებოდა დავიდ ტრეზეგე, „მონაკოს“ ყმაწვილი თავდამსხმელი, რომელმაც შესაძლოა კარიერაში უბრწყინვალეს, დაუვიწყარ გამარჯვებას მიაღწია.

...მერე თასი დეშამპს ბლანმა აართვა, ბლანს კანდელამ, კანდელას ზიდანმა და ასე, სანუკვარი ჯილდო ხელიდან ხელში გადადიოდა, თუმცა თითქმის ხუთკილოგრამიანი ოქროს თასის აღმართვის პატივი მხოლოდ ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს ერგოთ. მერე მოთამაშეებმა უმშვენიერეს „სტად დე ფრანსს“ საპატიო წრე (გაცვეთილი ფრაზაა) შემოურბინეს. ისინი მინდვრის გარშემო მოვალეობის მოსახდელად როდი დარბოდნენ — გუნდი ბრწყინვალე გამარჯვებით სულით და გულით ხარობდა.

და მაინც, „სტად დე ფრანსი“. ორ საათზე მეტხანს გრძელდებოდა ფრანგთა სიხარული მსოფლიოს ჩემპიონატის უმთავრეს სარბიელზე. ფრანგები მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ.

— საფრანგეთი ბედნიერია და ეს ჩემთვის უმთავრესია. ნაკრებში მოღვაწეობისას მუდამ მაკრიტიკებდნენ, გამარჯვების შემდეგაც. იმედია, ახლა მაინც დამასვენებენ. ნაკრებმა საწადელს მიაღწია — მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. ჩვენთვის აქამდე ქედუხრელი ოლიმპი საბოლოოდ მაინც დაგვნებდა! საფრანგეთი მსოფლიოს ჩემპიონია! — ეს ნაწილი გახლავთ იმ დიალოგისა, სტადიონზევე რომ გაიმართა ფრანგთა თავკაც ემე ჟაკესა და ჟურნალისტებს შორის. მრავალჭირნახულმა ჟაკემ, ბოლოს და ბოლოს, დაამტკიცა, რომ ნაკრები გამარჯვებისკენ სწორი გზით წაიყვანა.

— მე ბედნიერი ვარ! ბიჭები ბედნიერნი არიან! ბედნიერია ფრანგი ხალხი! ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონები ვართ! ოცნება ასრულდა, საფრანგეთი მსოფლიოს ჩემპიონია! — ტურნირისა და საერთოდ, დღესდღეობით მსოფლიოს უძლიერესი მცველი ლილიან ტურამი სიხარულისგან იცრემლებოდა. „პარმას“ უკანახაზელს ოქროს თასი აღემართა და გარშემორტყმულ ჟურნალისტებს შორის გზას მიიკვლევდა.

ზინედინ ზიდანი, ლორან ბლანი, ემანუელ პეტი, კრისტოფ დიუგარი, ფაბიენ ბარტეზი და სხვები და სხვები მოედანზე თუ მის გარშემო დარბოდნენ, მათ ჟურნალისტებთან საბაასოდ იმ მომენტში არ ეცალათ, თუმცა მათი გუნება-განწყობილება სულაც არ იყო ძნელი მისახვედრი — ფეხბურთელები ერთმანეთს ეხუტებოდნენ, მხარზე ხელს უტყაპუნებდნენ, მოკლედ, უდიდეს სიხარულს ათასგვარად, „ფეხბურთელურად“ გამოხატავდნენ.

— ჩვენ ჩემპიონები ვართ! — ყვიროდნენ ფრანგები და მართლაც ასე იყო. ბოლოს და ბოლოს, ახდა ფრანგთა ოცნება — მსოფლიოს ჩემპიონობა მათაც ეღირსათ. მსოფლიოს რიგით მე-16 ჩემპიონატი საფრანგეთის ნაკრებმა მოიგო. ის, რაც ვერ მოახერხა პლატინის, ჟირესის, ტრეზორის თაობამ, შეძლო ზიდანის, პეტის, ბლანის გუნდმა — ოქროს თასი, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის განკუთვნილი ჯილდო ფრანგებს ერგოთ.

საფრანგეთი ბრწყინვალე, ულამაზესი მსოფლიოს ჩემპიონატის ღირსეული გამარჯვებულია.

### სტად დე ფრანსს მიღმა

12 ივლისის ღამე ფრანგებისა გახლდათ. ასეთი ღამე, გნებავთ, შუაღამე, ათასში ერთხელ დგება. 12-13 ივლისს შესაყარზე სწორედ ის ზემოხსენებული მეათასე ჯერი მოვიდა — საფრანგეთი 22 რჩეული თანამემამულე ფეხბურთელის მსოფლიოს ჩემპიონობას ზეიმობდა.

ჩინებულ „სტად დე ფრანსზე“ დაიბადა დაუვიწყარი, დიდი ხნის ნანატრი გამარჯვება, თუმცა სიხარული მთელ ქვეყანას ელვის სისწრაფით მოედო. იმ ღამეს მთელი საფრანგეთი დღესასწაულობდა.

გამორჩეულად ლამაზი სანახავი გახლდათ გაჩირაღდნებული ქალაქები. ისედაც უმშვენიერეს მარსელს, ნანტს, სენტ ეტიენს და სხვებს მეტი ხიბლი შემატა ქუჩაში გამოფენილმა ხალხმა, ზოგს საფრანგეთის ნაკრების მაისური რომ ემოსა და ბევრიც დროშას რომ აფრიალებდა.

მარსელში, საუცხოო ღვისპირა ქალაქში, ხალხი „ელ ბელ სერდენის“ მოედანზე შეკრებილიყო, იქ, სადაც უდიდეს ეკრანზე სენ დენიდან ფინალის პირდაპირი რეპორტაჟი გადაიცემოდა.

საათნახევარში მარსელი სრულიად შეიცვალა — ბედნიერებისგან გონდაკარგულმა ფრანგებმა ქალაქს სული შთაბერეს, „ელ ბელ სერდენზე“ შეკრებილთ შინიდან გამოცვენილი ხალხიც შეუერთდა და დაიწყო, რაც დაიწყო! იმ ღამით მარსელელებს თვალი არ მოუხუჭავთ.

— წინ, საფრანგეთო! ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონები ვართ! ბოლოს და ბოლოს, მოვიგეთ ის, რისთვისაც ლამის საუკუნე ვიბრძოდით! გულშემატკივრები ყვიროდნენ, მღეროდნენ, ტიროდნენ...

ნანტი ლამის დაიქცა როდესაც ბელკოლამ შეხვედრა დაასრულა. საოცარი სანახავი გახლდათ დამწუხრებული ბრაზილიელნი და მოზეიმე ფრანგები. ეს უკანასკნელნი, ცხადია, სჭარბობდნენ. ქალაქის უმთავრესი ქუჩები „ლე ბელი“ და „მენ სებ რენი“ გადაიხერგა — გულშემატკივრებს არც მოძრაობის წესი აინტერესებდათ და არც სხვა რამ. კაცმა რომ თქვას, რომელი პოლიციელი გამოიდებდა თავს წესრიგის დაცვაზე. მიუხედავად არეულობისა, რაიმე დანაშაული, ანაც ავარია არ მომხდარა — იმ დღეს ავზე, ბოროტზე არავინ ფიქრობდა.

— ჩვენ გვიყვარს საფრანგეთი! ჩვენ გვიყვარს ჩვენი გუნდი! ისინი ლომები არიან, ნამდვილი ლომები! — იგივე სიტუაცია, რაც მარსელში. მოზეიმე (რბილად ნათქვამია) ქომაგები, უამრავი აფრიალებული დროშა, ერთი სიტყვით, ნამდვილი ეროვნული დღესასწაული.

ამდენს ვსაუბრობ და პარიზი არ მიხსენებია. ეს შეგნებულად გავაკეთე. 12 ივლისის ღამე საფრანგეთის დედაქალაქში — ეს სულ სხვა თემაა.

დიდებული პარიზი (ყველანაირი თვალსაზრისით) კიდევ უფრო მოგტაცებდათ თვალს. მილიონობით პარიზელი, თეთრი, შავი, ლურჯი, მწვანე, არა აქვს მნიშვნელობა, რა ეროვნების თუ რასის (აქაც, ცხადია, ბრაზილიელთა და მათ ქომაგთა გამოკლებით) მასპინძელთა გამარჯვებას აღნიშნავდა.

გადაჭედილიყო ელისეს მინდვრები. განათებულიყო ტრიუმფალური თაღი. მასზე მონაცვლეობით ჩნდებოდნენ მსოფლიოს ჩემპიონები — ეს იყო ულამაზესი სანახაობა.

— მე მიყვარს საფრანგეთი, მეამაყება ფრანგი რომ ვარ! — ასეთ ნათქვამს ხშირად გაიგონებდით. განა რა არის ამაში გასაკვირი? არც არაფერი. ყველაფერი ბუნებრივზე ბუნებრივია.

...პარიზის ერთ-ერთ ქუჩაზე გახარებული გულშემატკივრები ბურთს აგორებდნენ. უეცრად ერთ-ერთ მათგანს მანქანა დაეჯახა. მძღოლი შეშინებული გადმოხტა, მაგრამ მანქანის ქვეშიდან გამომძვრალმა ბიჭმა დარდი გაუქარვა. დაუშვებელი იყო, ტრაგედია მომხდარიყო. არც მოხდა.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, უხაროდათ ფრანგებს.

### ამბორი

ისე, გაამართლა ლორან ბლანისა და ფაბიენ ბარტეზის ამბორმა. თქვენ რას იტყვით?



სარბიელის არქივიდან

მსოფლიო ფეხბურთის ოლიმპი ფრანგებს დანებდა — ოქროს თასი, სულ მცირე ოთხი წლით მათია



სარბიელის არქივიდან

მოზეიმე ხალხი ყველგანაა — ელისეს მინდვრებზეც და ტრიუმფალურ თაღთანაც



სარბიელის არქივიდან

ფინალის შემდეგ ლორან ბლანისთვის ფაბიენ ბარტეზის თავი ოქროს თასმა შეცვალა

# ბედნიერების კუნძული

## LA FRANCE CHAMPIÔÔÔÔÔÔNNE DU MOOOOOONDE!!!

დასაწყისი პირველ გვერდზე

სათამაშო მოედანს სწრაფად აწესრიგებენ. უკვე 8 საათზე, თამაშამდე ერთი საათით ადრე, გამოჩნდა ჩვენს მიერ ერთ-ერთ რეპორტაჟში ექსტრავაგანტულად და ცანცარად მონათლული ფრანგთა მეკარე. მეორე დღეს ერთ-ერთი გაზეთი მასზე წერდა, ამ მოპრიალებულ თავში ცივი გონება მაინც ჰქონიაო. ასეა თუ ისე, როგორც საქმემ დაამტკიცა, მასზე უკეთესი მეკარე ამ ჩემპიონატზე არ ყოფილა. ეძახე უცნაური და ცანცარა! კაცმა თავისი საქმე იცის და... 45 წუთით ადრე სავარჯიშოდ შემოდიან დანარჩენი ფრანგი ფეხბურთელები.

ბრაზილიელებმა კი წინასწარი მოთელვისგან თავი შეიკავეს. ამით რისი თქმა უნდოდათ, ვერ გავიგე.

ლორან ბლანის ტრაგედიის (როგორც თავად ამბობს) შესახებ ჩვენ წინა რეპორტაჟში გესაუბრეთ. საფრანგეთის ნაკრების ყველა წევრის მატჩისწინა ინტერვიუებში ეს თემა დომინირებდა. ყველა მათგანის ნააზრევის ლეიტმოტივი ასეთია — ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ, უსამართლოდ დასჯილი ლორანი ჩვენთან ერთადაა. ჩვენ მის მაგივრადაც ვითამაშებთ. იქნებ ვინმეს გახსოვთ, ამ ორი თუ სამი ათეული წლის წინ ყოფილ საბჭოთა კავშირში იყო ასეთი საყოველთაო-სახალხო მოძრაობა ახალგაზრდებს შორის — „შენი და იმ ჭაბუკის წილ“. სწორედ ეს ლოზუნგი გამახსენდა „ლურჯფეროვანთა“ ინტერვიუების გაცნობისას.

თუ მიაქციეთ ყურადღება, წინა სალამოს „პარკ დე პრენსზე“, მესამე ადგილისთვის მატჩზე მაყურებლები გაიძახოდნენ „თავისუფლება ბლანს“.

დევეთანხმოთ ემე ჟაკეს — ბლანის გამოთიშვა მატჩიდან კატასტროფა იყო ფრანგებისთვის. როგორც აღმოჩნდა, კიდევ უფრო ძლიერი საშიშროება არსებობდა ბრაზილიელთათვის.

პრესრელიზში მატჩის დაწყებამდე 45 წუთით ადრე გუნდის შემადგენლობა დაგვირიგეს. ზერელედ გადავხედე, უცებ ჩემს წინ მჯდომი ფრანგი კოლეგა მანიშნებს ბრაზილიელთა შემადგენლობაზე, რომლის ძირითადში არ ირიცხება რონალდო. ჩვენ კი ვიცოდით, რომ მას ქუსლი აწუხებდა და ჰოსპიტალშიც კი იყო; პრობლემები ჰქონდათ სეზარ სამპაიოსა და ჟუნიორ ბაიანოს. მაგრამ სამივემ გუშინ ივარჯიშა და, რომ იტყვიან, ამით ყველაფერს წერტილი დაესვა.

ორიოდ წუთში ისევ მოვიდა იგივე მოხალისე, განაცხადი რომ ჩამოგვირიგა, ბოდიში მოიხადა, სია არასწორია, მალე გაახლებთ ზუსტ ვარიანტსო. ჩვენ უკვე მივხვდით — რონალდოსა და ედმუნდოს უნდა გაეცვალათ ადგილები. ასე რომ, მსოფლიოს ჩემპიონებიც უძლიერესი შემადგენლობით იბრძოლებენ. მაგრამ რამდენიმე წუთში კიდევ ერთი ინფორმაციაც მოაყოლეს — რონალდო ჰოსპიტალიდან ახლახან მოიყვანეს, ცნობილი სპეციალისტების კონსულტაციების შემდეგ, თამაშის დაწყებამდე 45 წუთით ადრე, მას მოედანზე გასვლის უფლება მისცეს.

### მატჩი

მგონი, აქ სალაპარაკო ბევრი არ უნდა იყოს — ტელევიზიით ხომ ნახეთ? როგორც წესი, ამ რანგის შეხვედრები, მისი მნიშვნელობისა და შესაძლო შედეგების გათვალისწინებით, „დიდი მატჩები“ იშვიათად თუ არის ხოლმე. თუმცა თავისთავად ფინალი უკვე დიდი, გრანდიოზული მატჩია. თქვენ, ბატონო მკითხველო, დარწმუნებული ვარ, უკეთესი ფინალური მატჩები გინახავთ, ალბათ უარესიც.

აქ აზრი ერთსულოვანია — საფრანგეთის ნაკრებმა ამ მატჩში საუკეთესოდ ითამაშა. პირველ ტაიმში ფრანგთა უპირატესობა აშკარა იყო და მათ ორი გოლიც გაიტანე.ს მეორე ტაიმში ბრაზილიელებმა თითქოს გამოიღვიძეს, მაგრამ მატჩის ხსნა შეუძლებელი იყო — დღეს ბრაზილიას არ ჰყავს ის გუნდი, ორბურთიანი სხვაობა რომ „ამოქაჩოს“ ისეთი დაცვისა და ნახევარდაცვის გუნდთან, როგორიც საფრანგეთის ნაკრებია. „მსოფლიოს ჩემპიონი ცნობილია, ამ შეხვედრის მობრუნებას ზაგალოს გუნდი ვეღარ შეძლებს“ — მეუბნება პირველი ტაიმის შემდეგ ბრაზილიელთა თავგადაკლული გულშემატკივარი დავით ქიობაძე.

ისე მოხდა, რომ ამ ჩემპიონატზე ბრაზილიელთა თამაში უშუალოდ მხოლოდ ფინალურ მატჩში ვიხილე. ადრეც ვწერდი და ახლაც ვიტყვი — არა და არ იყო ბრაზილიელთა ნაკრების დღევანდელი შემადგენლობა საჩემპიონო გუნდი. თითქმის მთელი მსოფლიო „რონალდომანისი“ ფსიქოზითაა მოცული. ბრაზილიელთა მე-9 ნომერმა კი ის თამაში, მისგან რომ ელოდნენ, ვერა და ვერ აჩვენა. მთელი იმედები მასზე იყო. „უცხოპლანეტელი“ ვერა და ვერ დამიწდა, ცუდად დასცალდა საფრანგეთის მიწამ. სხვა კი არავინ იყო გუნდში, ლიდერის ტვირთი რომ ეზიდა. მატჩის შემდეგ ბრაზილიელი ტურისტების გაცხარებული საუბრის მოწმე გავხდი — ერთი გაიძახოდა — რა უნდა რონალდოს ევროპაში, აიკრას გუდანაბადი და წამოვიდეს ბრაზილიაში, ჯერ თამაში ისწავლოს და მერე დაბრუნდესო.



სარბიელის არქივიდან

ზინედინ I — საფრანგეთის იმპერატორი

ცოტა პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია — გუნდი თავდასხმის გარეშე ხდება მსოფლიოს ჩემპიონი. სწორედ ასეთია საფრანგეთის ნაკრები. ყველას აზრი ერთია. ფრანგების უკანა ხაზი და ნახევარდაცვა საუკეთესო იყო ჩემპიონატზე. მთელი სიმძიმე მათ გადაიტანეს და ჩემპიონობაც მათი დამსახურებაა. თავად განსაჯეთ: ჩემპიონატის ბოლო ოთხ მატჩში — გადამწყვეტ შეხვედრებში გატანილი 6 გოლის ავტორი მცველი ან ნახევარმცველია. შემოსულებმაც თავი ვერაფრით გამოიჩინეს, ეგ იყო, ნაღდ გასატანს რომ გააფუჭებდნენ, თავში ხელს არტისტულად წაიშენდნენ, ეს რა ვქენიო. მოკლედ, სჭირდებათ ფრანგებს ერთი არველაძე. სამაგიეროდ, ჰყავთ „ზიზო“ — ალჟირელი ფრანგი „საფრანგეთის იმპერატორი“, მართლაც რომ ნიჭით გამორჩეული ზინედინ ზიდანი, ჰყავთ ძალზე სტაბილური და შრომისმოყვარე ემანუელ პეტი, ჰყავთ ტურამი და დესაი, დეშამპი და ბარტეზი.

ყოველ შემთხვევაში, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე საფრანგეთის ნაკრებზე უფრო ძლიერი გუნდი არ ყოფილა. ამიტომაც მსოფლიოს ღირსეული ჩემპიონი ჰყავს. არ დაგვავიწყდეს, ფინალურ მატჩში, თანაც ბრაზილიასთან, მთელი 25 წუთი კაცნაკლულებმა ითამაშეს, ანგარიშიც არათუ შეინარჩუნეს, გაზარდეს კიდეც და რომ არა ბოგოსიანის უგერგილობა, მეტსაც გაიტანდნენ. ყველაზე მეტი გატანილი და ყველაზე ნაკლები გაშვებული ბურთი — ასეთია ფრანგთა ბალანსი.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ 12 ივლისის გამარჯვების შემდეგ ფრანგებს მოეხსნებათ ეგრეთ წოდებული საფეხბურთო არასრულფასოვნების კომპლექსი. აბა, სხვა ტიტულები არც ენატრებათ — ევროპის ჩემპიონებიც არიან (1984). ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებიც (1984), 21-წლამდე ფეხბურთელთა შორის ევროპის ჩემპიონებიც (1988) და აჰა, საფეხბურთო მწვერვალიც დალაშქრულია.

საფრანგეთმა აიხდინა ოცნება და მსოფლიოს მე-7 ჩემპიონად მოევლინა, დღემდე სამ-სამი ქვეყანა — 3 ევროპიდან და 3 ამერიკიდან ინაწილებდა ჩემპიონის წოდებას. ემე ჟაკეს გუნდმა სასწორი ბებერი ევროპისაკენ გადახარა. ფრანგების მოგებამ ანგარიშიც გაათანაბრა — სამხრეთამერიკელები და ევროპელები უკვე 8-8-ჯერ არიან მსოფლიოს ჩემპიონები.

### მატჩის შემდეგ

გთხოვთ, მიეცით ფანტაზიათა და ოცნებათა სამყაროს და წარმოიდგინოთ, რა მოხდებოდა ჩვენთან, საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი რომ გამხდარიყო. რეალობაში იგივე იყო პარიზსა და მთელ საფრანგეთში. პარიზის აღწერა შეუძლებელია. იყო ყოვლისმომცველი საერთო-სახალხო ზეიმი თვით ტრიუმფატორთა მონაწილეობით. საფრანგეთის ტელევიზიის პირველი არხი დილამდე მხოლოდ ფეხბურთით იყო დაკავებული და თავის საქმეს მართლაც რომ შესაშური პროფესიონალიზმით აკეთებდა — პირდაპირი ჩართვები რიო დე ჟანეიროდან და მსოფლიოს სხვა ქალაქებიდან (საფრანგეთზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია), რეპორტაჟები ფეხბურთელთა ოჯახებიდან. ვინ არ გამოიყვანეს, ვის არ მიაგნეს, ქუჩებიდან პირდაპირი რეპორტაჟები და კულმინაცია — ზეიმი ელისეს მინდვრებზე. სტუდიაში მატჩის გმირები რიგ-რიგობით შედიოდნენ, იმის მიხედვით, ვინ როგორ ასწრებდა თავის მოწესრიგებას მატჩის შემდეგ — ზოგი შორტებსა და მაისურებში იყო გამოწყობილი, ზოგიც სპორტულ სამოსში. და კიდევ ერთი იყო თვალშისაცემი. ყველა ფეხბურთელი ისე ლაღად, თავისუფლად, მოსაწონი ჟესტიკულაციით საუბრობდა სატელევიზიო ეთერში, იფიქრებდით, ტელეკომენტატორები არიანო.



სარბიელის არქივიდან

საგანგებო რაკურსი: ტრიუმფატორები ტრიუმფალურ თაღთან

მრავალი ათასი ბრაზილიელი ფანის მდგომარეობაც არ უნდა იყოს ძნელი წარმოსადგენი. ისინი ეროვნული გუნდის მაისურებში გამოწყობილნი ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ აღმოსავლეთ და სამხრეთ ტრიბუნების მიჯნაზე. ცრემლები, უტყვი, გაქვავებული სახეები, ერთმანეთსაც და სხვებსაც თვალს არიდებენ. შემდეგ კი ქუჩაში ბევრი ვნახე გოგონა, მხლებელი ვაჟისთვის თავი მკერდზე რომ მიეყრდნო და ხმამაღლა ქვითინებდა, მეტროს ვაგონში პატარა გოგონა და მეუღლე ამშვიდებდნენ ახალგაზრდა ქალს, სახე შეშლილს რომ მიუგავდა და შვილის მოფერებასა და კოცნას აგრესიულად პასუხობდა. იქვე ერთი პირსახემოხატული ფრანგი, ლუდის ბოთლით ხელში, დამტვრეული ინგლისურით ამშვიდებდა ბრაზილიელებს — რა თავპირი ჩამოგტირით, ოთხჯერ იყავით ჩემპიონები, კიდევაც იქნებით. ახლა ჩვენი რიგი იყო და კიდევაც გავხდით. წავიდეთ პარიზის კაფეებში, ყველამ ერთად ვიმხიარულოთო.

მოკლედ, ბედნიერების უსაზღვრო ოკეანეში ცურავდა პარიზი და მთელი საფრანგეთი და იყო სიხარულის ცრემლების ზღვა.

სხვათა შორის, ხორვატებმა ჰოლანდიასთან მოგების შემდეგ მინი-ზეიმი ელისეს მინდვრებზეც მოაწყვეს. დიდი ზეიმი იქ, მათ ხუთმილიონიან ქვეყანაში იყო.

### რას წერს პრესა

„ეკიპმა“ მატჩი მხოლოდ ხუთი ვარსკვლავით შეაფასა, რითაც დაფიქსირდა, რომ 64 შეხვედრიდან ყველაზე მეტი — 6 ვარსკვლავით არც ერთი თამაში არ შეფასებულა. ფრანგი ფეხბურთელების საშუალო ბალი 7,3 ქულაა. ზინედინ ზიდანმა ჯერჯერობით ყველაზე მაღალი ბალი — 9 დაიმსახურა. 8 დაუწერეს ბარტეზსა და ტურამს. ყველაზე დაბალი კი გივარშსა და კარემბუს - 6-6; თვალშისაცემად ცოტა ქულა მიიღეს ბრაზილიელებმა — საშუალო 4,5 ბალი. მეკარის შრომა შეფასდა ყველაზე უკეთ 5,5; ალდაირმა მიიღო უდაბლესი ქულა — 3,5. რონალდომ და ბებეტომ კი 4,4. იტალიური „გაძეტა დელო სპორტი“ ბრაზილიელთა თამაშს საშუალოდ აფასებს 5,4 ბალით, ფრანგებისას კი 6,8-ით. გამოჰყოფენ ზიდანს — 8 ქულა; გივარშს ყველაზე ცოტა ერგო — 5 ბალი. ბრაზილიელთა შორის 6 ქულით გამორჩეულია ოთხი კაცი. ჟუნიორ ბაიანოს თამაში შეფასდა 4,5 ბალით, რონალდოსი კი 5-ით. როგორც წესი, ეს გაზეთი უყურადღებოდ არ ტოვებს არბიტრსაც. მაროკოელმა მსაჯმა დაიმსახურა 7ქულა. „პარიზიენი“ ძალზე გულუხვია ქულებში. გაზეთი მხოლოდ ჩემპიონების თამაშს აანალიზებს და მათ თამაშს საშუალოდ 8 ქულით აფასებს. უმაღლესი შეფასება 10-10 დაიმსახურეს ზიდანმა და პეტიმ. აქაც ყველაზე დაბალი — 6,5-6,5 გივარშსა და კარემბუს ერგოთ.

ფრანგთა გუნდს რვა ქულას უწერს „ფრანს სუარიც“. ოღონდ აქაურ სპეციალისტებს 10 ბალამდე არავინ „გაუქაჩიათ“. 9-9 ბალი მიიღეს ბარტეზმა, ზიდანმა და პეტიმ. გივარში აქაც „ჩემპიონია“ ბოლოდან — 6 ქულა.

ზღვა მასალიდან ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ციტატას შემოგთავაზებთ. მარიო ზაგალო: „მსოფლიოს ჩემპიონატზე საფრანგეთი საუკეთესო გუნდი იყო“. პლასიდო დომინგო: „მაყურებელი, ბუნებრივია, ფრანგებს უჭერდა მხარს და მათაც ბრწყინვალედ ითამაშეს. სამწუხაროა, რომ ბრაზილიამ ამ საღამოს ვერაფერი გვაჩვენა, ნაღდად ვერ ითამაშეს ჩემპიონების საკადრისად“. ჟერარ დეპარდიე: „რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მატჩის მომსწრენი შევიქენით. მაგრამ მითხარით, გეთაყვა, სად არის ნატალი?“, ჟან კლოდ კილი: „3:0 ეს ბევრია. ვერ ვიფიქრებდი, რომ ბრაზილიელებს 3 გოლს გავუტანდით. ჩვენებმა თავიანთ ისტორიაში საუკეთესო მატჩი ითამაშეს და რაც მთავარია საჭირო დროს“. ალენ დელონი (დაბნეული): „სად არის ჩემი მანქანა? სად არის ჩემი მანქანა?“ ემე ჟაკე: „ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ ხალხს სიხარული მოვუტანეთ“.

გამარჯვებული გუნდის ყველა წევრის ინტერვიუებში სწორედ ეს პათოსი იგრძნობა — ბედნიერები ვართ, რომ ფრანგებს სიხარული მოვუტანეთ.

...დღეს ფრანგთა ეროვნული დღესასწაულია: ბასტილიის აღების დღე. საფრანგეთის ნაკრებმა მშვენიერი საჩუქარი მიუძღვნა თავის ხალხსა და თავის ქვეყანას.

გასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი — სამყაროს საფეხბურთო რუკაზე ყველამ თავისი ადგილი იპოვა.

გმადლობთ, ფეხბურთო! გმადლობთ, საფრანგეთო! ველოდოთ ახალ დღესასწაულებს!

გიო ახვლედიანის




# და მათ ვერ აიღეს პარიზი

FRANCE 98

უბრალო, გაცვეთილი და თან შემთხვევითი შედარებაა. დამთხვევაც არცთუ მოსაწონი და ლამაზია, ბასტილიის აღების 199-ე წლისთავამდე ორი დღით ადრე ფრანგებმა მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვეს. ეს ლამაზი სიმბოლო იქნებოდა, რომ არა რევოლუციის სისხლიანი აჩრდილი. თუმცა, ფრანგებს ძალიან უყვართ და მოსწონთ ეს თარიღი და ჩვენ რა გვრჯის რომ მათ ჩემპიონობასა და ბასტილიის აღებას შორის თუნდაც თარიღობრივი სიახლოვე ვლანძღოთ?

ჩვენ ამ ფინალის ერთ მონაწილეზე ვთქვათ ვთქვათ ორი სიტყვა. ის ნაღდად იმსახურებს ამას.

მსოფლიო ჩემპიონატების ფინალთა ისტორიაში ამგვარი ანგარიში აქამდე, არ ყოფილა. სამი ბურთით ფინალები ორჯერ მოიგო ბრაზილიამ 1958 და 1970 წლის შემდეგ არ ყოფილა ფინალი, რომელშიაც ერთ გუნდს ასე დაეჩაგროს მეორე. ეს თვალში საცემი ამბავია.

საერთოდ კი, მე თუ მკითხავთ, ეს ჩემპიონატი ბრაზილიის ნაკრებისთვის იყო ერთგვარი გამოცხადებული მკვლელობის ქრონიკა.

ბრაზილია თითქოს მთელი ჩემპიონატის განმავლობაში მიდიოდა ამისკენ. მიდიოდა ფინალისკენ, რათა იქ მომკვდარიყო. მომკვდარიყო უსახელოდ, ისე, როგორც ერთი შეხედვით არ ეკუთვნოდა. მაგრამ ბრაზილიის ნაკრები ოთხ წელიწადს მოდიოდა ამისკენ. ზიკო, რა თქმა უნდა, დიდი ფეხბურთელი იყო. ზაგალოს, რა თქმა უნდა, აქვს მსოფლიო ჩემპიონის ოქროს ოთხი მედალი, მაგრამ ამ ორი კაცის თანამშრომლობა მსოფლიო ჩემპიონის კიდევ ერთი ტიტულის მოსაპოვებლად იმთავითვე განწირული იყო. ისინი რატომღაც ფიქრობდნენ, რომ თავიანთ გუნდს თანამედროვე ფეხბურთს ათამაშებდნენ.

მოგწონთ თანამედროვე ფეხბურთი?

ამის გამო დავა შეიძლება, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთი თანამედროვე ფეხბურთია. მას თავისი წესები აქვს და ტერმინი „საფეხბურთო მეცნიერება" სულაც აღარ არის თვითმიზნური. თანამედროვე ფეხბურთს ვერ ითამაშებ, თუ არ გინდა რომ ის ითამაშო. შენ ვეღარ უკარნახებ წესებს მსოფლიო ფეხბურთს.

კარგახანია, რაც საფეხბურთო აზრის გასაღები ევროპაში დევს. სამხრეთამერიკული ნიჭი და საოცრება მხოლოდ მაშინ ამართლებს, როცა საფეხბურთო მეცნიერებას ეზიარება ხოლმე. და საერთოდ, არა მგონია, რომ ფეხბურთისადმი სიყვარული მხოლოდ ერთი რაღაცის, მისი ერთ-ერთი კომპონენტის გაფეტიშებით გამოიხატებოდეს. ფეხბურთი იმით არის დიადი თამაში, რომ მასში წარმატებასნაირგვარ სათამაშო თვისებათა და საშუალებათა ჰარმონიული ერთობლიობა განაპირობებს. ასეთი რამ ბრაზილიელებს არ ჰქონდათ საფრანგეთში. მათ დიდებული ოსტატები ჰყავდათ. ეს ოსტატები, იგივე რონალდო და რივალდო ბრწყინავენ მოწინავე ევროპულ გუნდებში, სადაც ევროპელმა მწვრთნელებმა კარგად იციან, როგორ გამოიყენონ ამ ფეხბურთელთა საუკეთესო თვისებები. აი, მარიო ზაგალომ კი ნამდვილად არ იცის, როგორ გამოიყენოს თავისი საუკეთესო ფეხბურთელები. ამ კაცს ყოველთვის ღალატობდა ზომიერების გრძნობა. 1974 წელს მას ეგონა, რომ ძლიერი გუნდი ჰყავდა. 1998 წელს მას ეგონა რომ ჩემპიონი იყო. მხოლოდ ერთხელ, 1970 წელს, ზაგალო მიხვდა, რომ ხელი არ უნდა ეხლო დიადი გუნდისთვის, რომელიც ჟოაო სალდანიამ შექმნა. და ამ კაცის ამბიციას საზღვარი არ ჰქონდა. სავსებით გასაგებია, როცა რინუს მიხელსს აქვს ამბიცია, მაგრამ ზაგალოს ამბიცია საერთაშორისო სანაკრებო ამბავში დღეს ღიმილს იწვევს. დღეს აღარ გამოდის მხოლოდ ფეხბურთელთა, თუნდაც დიდ შემსრულებელთა ხარჯზე მოგება. ფეხბურთმა დღეს საერთოგუნდური ინტელექტი აიმაღლა. ამ საერთოგუნდურში მწვრთნელიც შედის, ვარსკვლავიც და მზარეულიც.

ასეა, და რა ვქნათ.

ბრაზილიელებს არაფერი გააჩნდათ ფრანგთა წინააღმდეგ. მათ გააჩნდათ სუფთა ტექნიკა და დაუსრულებელი ჩაწოდებები. შენ რონალდო გყავს და ბურთს კიდებ. შენ გგონია, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში დენილსონი გადაწყვეტს მატჩის ბედს? ვერ გადაწყვეტს. არ მესმის, დენილსონს რომ გარინჩას ადარებენ — ძველი ყაიდის გარემარბი ესლა შეგვრჩაო. როგორ ფიქრობთ, დღეს გარინჩა ისე ითამაშებდა, როგორც მაშინ? დიადი ფეხბურთელის თვისება ხომ ის არის, რომ ყოველ დროში იმ დროის პირობებს შეესაბამება? შენ გყავს რივალდო. შენ გყავს ბებეტო და არ შეგიძლია, რომ ისე მომართო ისინი, რომ თამაში შეძლონ? შენ არ შეგიძლია დაცვის თანამედროვედ აწყობა, გიჭირს მოედნის პყრობა, გიჭირს კომბინაციური თამაში და ფინალს მოიგებ?

ზღაპარია.

ეს მთელი ჩემპიონატის განმავლობაში შეიგრძნობდა. ვის წინააღმდეგ ითამაშა ბრაზილიის ნაკრებმა ყველაზე კარგად ამ ჩემპიონატზე? მაროკოსა და ჩილის წინააღმდეგ. შედეგები ევროპულ გუნდებთან? 2:1, 1:2, 3:2, 1:1. ეს სრულიადაც არ არის შთამბეჭდავი. არ იყო შთამბეჭდავი ბრაზილიელთა თამაში იანვრიდან მოყოლებული. თუმცა, ჯერ კიდევ მარშან გაზაფხულზე „უორლდ სოკერი" მეტად საეჭვოდ ხდიდა ბრაზილიელთა თამაშის დონეს — შინ ასტრონომიული ანგარიშით მოგებული მატჩები ბრაზილიის გუნდის რეალურ დონეს არ ასახავსო.

ახლა კი მოვუსმინოთ ზიკოს. აი, რას ამბობდა ის ჩემპიონატის წინ: „ნორვეგიელებისა ბევრი არაფერი ვიცი, მათ ძლიერი ცენტრფორვარდი ჰყავთ. გვარი არ მახსოვს. მათთან მესამე თამაში გვაქვს. მანამდე ყველაფერი გარკვეული გვექნება".

სამწუხაროდ, ნაკრების მთავარი კოორდინატორი ასე ლაპარაკობს. აბა, რას იზამ? ვერაფერსაც ვერ იზამ.

და ალბათ, კიდევ ერთი. ალბათ რომარიო ძალიან ენამწარე და ავი კაცია. მაგრამ თუ ვინმე იყო შეუცვლელი ბრაზილიის ნაკრებში ბოლო რვა წელიწადს, სწორედ რომარიო. მას აგდებდნენ და აბრუნებდნენ. რადგან, ამას ბევრი ლაპარაკი არ უნდა, რომარიო ბრაზილიელთა წარმატებას ნიშნავდა. ჟაკეს არ უყვარს კანტონა, ჰოდლი არ ენდობა გაზას, ფოგტსი — ბასლერს და ზიკოს არ უყვარს რომარიო. რომელიც ასევე არ უყვარდა ზაგალოს, თუმცა მაინც ათამაშებდა. მაგრამ ზემოთჩამოთვლილ ხალხს არა აქვს ისეთი ზედაპირული წარმოდგენა თუნდაც ნორვეგიულ ფეხბურთზე, როგორც ზიკოს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ფოგტსაც, ჰოდლსაც, ჟაკესაც ეს ხალხი იმიტომ არ ამოუღია სიიდან, რომ მათგან რაღაც ეწყინა. ისინი თავიანთ ფეხბურთს ქადაგებდნენ, თავიანთ შეხედულებას ასაბუთებდნენ, მათ პოზიცია ჰქონდათ. ზიკომ კი...

20 მაისს რომარიომ თქვა: „ზიკო ვერ მასწავლის მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშს. ის არასოდეს ყოფილა ჩემპიონი". და ეს საკმარისი შეიქნა, რომ რომარიო ნაკრებსგარეთ დარჩენილიყო. ჩემპიონატის პირველ კვირას ინგლისელთა ძირითადში ვერმოხვედრილმა დევიდ ბექემმა სამ დღეში ორი პრესკონფერენცია გამართა და ჰოდლი გააკრიტიკა: ამის გამო ის ინგლისში არ გაუგზავნიათ. რობერტო ბაჯოც ბევრს წუწუნებდა. რომარიო კი, ეს საოცარი ფეხბურთელი, კაცი, რომელიც ამ გუნდის ყველაზე დიდი ნაპერწკალი იყო, შინ დარჩა. რა, სამი ჩემპიონატის მონაწილე ზიკომ არ იცის, რას ნიშნავს ამ ტურნირზე გამოცდილებამიღებული ვარსკვლავი და თანაც მსოფლიო ჩემპიონი?

ეს იყო გამოცხადებული მკვლელობის ქრონიკა. ბრაზილია მიემართებოდა თავისი აღსასრულისკენ. ეგებ ზაგალოს ეგონა რომ მსოფლიო ჩემპიონატი ერთი წლისწინანდელი ტურნუა, ან კონფედერაციის სასაცილო თასია? ეგებ მას და ზიკოს ეგონათ, რომ ტურნუაზე გახურებული ღია ამაში მსოფლიო ჩემპიონატსაც გადმოწვდებოდა?

ეს ტეიშეირაც მაგარი ვინმეა. ბრაზილიის ფეხბურთის თავკაცს რომ მისავე კაბინეტში პირუტყვი ედმუნდო შემოკრავს ხელს, მისგან რას უნდა ელოდო? ტეიშეირამ ჩემპიონატამდე ორი თვით ადრე წამოიწყო რეფორმა ნაკრებში და იქ ზიკო ჩასვა. ეს ალბათ წაადგა ბრაზილიის გუნდს, მაგრამ იმდენად არა, რომ მის თამაშს თანამედროვე ტაქტიკისა მოსცხებოდა რამე.

მარიო ზაგალო ალბათ ვეღარასდროს მოიპოვებს მეხუთე ოქროს მედალს. პრინციპში, მას არც ეკუთვნოდა, ეს ჯილდო. ზაგალომ როგორღაც თქვა, დენილსონს რომ ძველ დროში ეთამაშა მე ნაკრებში ვერ მოვხვდებოდიო. მაშინ დენილსონი იქნებოდა მსოფლიოს ჩემპიონი, ზაგალო კი კარგი საკლუბო მწვრთნელი იყო 60-იან წლებში, საშუალო 70-იანებში, საშუალოზე დაბალი 80-იანებში და უვარგისი 90-იანებში.

ისე კი, ნუ ერჩით რონალდოს, ნურც რომარიოს. უყურეთ მათ თამაშებს კლუბებში და ისიამოვნეთ.

მათ ვერ აიღეს პრიზი. პარიზი არ არის იოლად დასაპყრობი ქალაქი. პარიზში აბჯარასხმული უნდა მიხვიდე და სარდალიც ჰკვიანი უნდა გყავდეს.

და ფრანგები?

მათ გამო ხვალ-ზეგ ვილაპარაკოთ.



არა, ეს არ არის სუპერმარიო!


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

კროკო ფეხბურთის ყველაზე აზარტულ მოყვარულებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და რუსთავში მოემსახურება.

ფსონების მიმღები „კროკოს" ახალი ბიუროები გაიხსნა თბილისის №2, №63 და №67 ფოსტის განყოფილებების შენობებში

№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე

№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი

№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი


რუსეთის ჩემპიონატი. XVI ტური

15 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| სპარტაკი — ზენიტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ტიუმენი — ლოკომოტივი | 6,0 | 3,8 | 1,4 |
| ტორპედო — შინიკი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ცსკა — ჩერნომორეცი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ბალტიკა — დინამო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| კრ. სოვეტოვი — ჟემჩუჟინა | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| ურალანი — ალანია | 2,5 | 2,8 | 2,1 |
| როტორი — როსტსელმაში | 1,5 | 3,3 | 6,0 |


კროკო იმუშავებს ძველი განრიგით: ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა

თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი;
№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი;

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში;

ბათუმში — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

რუსთავში — კინოთეატრი „რუსთაველი"; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

## ბათუმი

საბოლოო ადგილი მეორე

სტადიონი: დინამო — 18 000
1998 წლის ვიცე-ჩემპიონი
1997 წლის ბრინჯაოს პრიზიორი
1998 წლის თასის მფლობელი
1990 წლიდან თამაშობს ეროვნული ჩემპიონატის A ჯგუფში.
ჩაატარა 275 მატჩი. მოგება — 138. ფრე — 53, წაგება — 84.
ბურთების შეფარდება: 524:318.
რეკორდული მოგება — 11:0. 18.03.96 — დურუჯი
რეკორდული წაგება — 0:5. 26.11.91 — კოლხეთი
ყველაზე მეტი გოლი A ჯგუფში — მაჭუტაძე 69
ყველაზე მეტი მატჩი A ჯგუფში — მ. მახარაძე 243

## 30 ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 30 | 24 | 4 | 2 | 86:15 | 71 |
| ბათუმი | 30 | 18 | 7 | 5 | 58:19 | 61 |
| კოლხეთი | 30 | 17 | 6 | 7 | 56:27 | 57 |
| ტორპედო | 30 | 15 | 9 | 6 | 51:30 | 54 |
| ოდიში | 30 | 15 | 4 | 11 | 43:51 | 49 |
| ლოკომოტივი | 30 | 12 | 8 | 10 | 34:37 | 44 |
| მერანი | 30 | 13 | 7 | 10 | 39:33 | 39 |
| თსუ | 30 | 11 | 6 | 13 | 35:33 | 39 |
| დილა | 30 | 11 | 4 | 15 | 31:36 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 30 | 9 | 9 | 12 | 27:37 | 36 |
| რუსთავი | 30 | 10 | 4 | 16 | 32:41 | 34 |
| სამგურალი | 30 | 9 | 7 | 14 | 31:50 | 34 |
| სიონი | 30 | 10 | 6 | 14 | 49:47 | 31 |
| გურია | 30 | 6 | 9 | 15 | 30:58 | 27 |
| მალაროელი | 30 | 7 | 5 | 18 | 25:59 | 26 |
| მარგვეთი | 30 | 2 | 7 | 21 | 21:75 | 13 |

„მერანს" დაკლებული აქვს 7 ქულა, „დინამოს" და „სიონს" — 5-5

## «ბათუმის» შედეგები მეცხრე ჩემპიონატში

| | შ | ს |
|---|---|---|
| სიონი | 2:0 | 0:1 |
| მალაროელი | 3:0 | 0:1 |
| ლოკომოტივი | 4:1 | 1:0 |
| გურია | 5:0 | 1:1 |
| ვიტ ჯორჯია | 1:1 | 1:2 |
| სამგურალი | 7:1 | 1:1 |
| დინამო | 1:0 | 0:2 |
| დილა | 2:0 | 3:1 |
| მარგვეთი | 5:2 | 4:1 |
| მერანი | 0:0 | 2:1 |
| ტორპედო | 2:0 | 0:1 |
| ოდიში | 1:0 | 4:1 |
| რუსთავი | 4:0 | 1:1 |
| კოლხეთი | 0:0 | 1:0 |
| თსუ | 2:0 | 0:0 |

| | თ | გ | ყ | წ |
|---|---|---|---|---|
| მ. მახარაძე | 30 | 0 | 1 | 0 |
| მინდაძე | 30 | 2 | 1 | 0 |
| სიჭინავა | 30 | 4 | 0 | 0 |
| ტოგონიძე | 29 | -19 | 0 | 0 |
| თორლაშვილი | 29 | 6 | 1 | 0 |
| ი. მახარაძე | 28 | 7 | 4 | 0 |
| შეყილაძე | 28 | 2 | 2 | 0 |
| აფხაზავა | 26 | 5 | 0 | 0 |
| მაჭუტაძე | 23 | 15 | 0 | 0 |
| ჭიჭველიშვილი | 22 | 2 | 2 | 0 |
| ლლონტი | 22 | 5 | 0 | 0 |
| კანტიძე | 22 | 1 | 2 | 0 |
| ჩუხუა | 14 | 3 | 2 | 0 |
| სოლოლაშვილი | 11 | 1 | 1 | 0 |
| მაქაცარია | 9 | 0 | 0 | 0 |
| ზირაქიშვილი | 8 | 3 | 0 | 1 |
| ფუტკარაძე | 6 | 0 | 0 | 0 |
| ყულეჯიშვილი | 5 | 1 | 1 | 0 |
| შანიძე | 4 | 0 | 0 | 0 |
| დობორჯგინიძე | 2 | 0 | 0 | 0 |
| მჟავანაძე | 2 | 0 | 0 | 0 |
| რომანაძე | 2 | 0 | 0 | 0 |
| სიამაშვილი | 1 | 0 | 0 | 0 |
| ნ. მინდიაშვილი | 1 | 0 | 0 | 0 |
| მალაყმაძე | 1 | 0 | 0 | 0 |

ტოგონიძემ გაიტანა 1 პენალტი

შ-შინ; ს-სტუმრად; თ-თამაში; გ-გოლი; ყ-ყვითელი, წ-წითელი ბარათი

# ნუღარ ადგებით მარცხენა ფეხზე!

ბოლო ხანს ბათუმელ ფეხბურთელებთან რამდენიმე ინტერვიუს გაკეთება მომიხდა. ყველა იქაურ რესპოდენტს აუცილებლად ვაძლევდი ერთ კითხვას — მაინც რა გუნდია „ბათუმი"?

ზოგი ერთს ამბობდა, ზოგი — მეორეს, საბოლოო პასუხი კი... თვით ბათუმელ ქომაგთაც უჭირდათ. მართლაც ძნელია, კლუბს ის სახელი მოუძებნო, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავს მის სახეს, არსს.

განწყობის გუნდიაო, ხშირად მოისმენთ. იმასაც ამბობენ, ფეხბურთელები ხანდახან ძალებს ზოგავენ, ჰგონიათ, მეტოქეს იოლად მოუგებენო, არსებობს მესამე, ალბათ, ყველაზე ნაკლებსარწმუნო აზრიც — მოთამაშეებს ხელფას-პრემიას რომ დაუგვიანებენ, ისინი თავიანთ პროტესტს იმით გამოხატავენ, რომ მატჩებს ძალად აგებენო. მეოთხე მიზეზიც ერთობ საეჭვოა — გაჭირვებულებს შეგნებულად ეხმარებიანო.

ახლა ჩამოვყვეთ ამ ვერსიებს და ვცადოთ, გავარკვიოთ, რომელი მათგანი უფრო მიესადაგება ბათუმელთ. ეგებ ერთად დავფიქრდეთ, მაინც რა გუნდია ბათუმი?

*განწყობა ანუ ხასიათი.* ბუნებრივია, თუ სათამაშოდ ვერ განეწყვე, თუ ხალისი არა გაქვს, თუ უაზარტოდ დარბიხარ, უბრალოდ, მოვალეობის გულისთვის აკეთებ ყველაფერს, დამაკმაყოფილებელ შედეგზე ლაპარაკიც ზედმეტია. დაკვირვებულ გულშემატკივარს ბათუმელ ფეხბურთელთა ბურთაობისას რომ ამგვარი ეჭვი გაუჩნდეს, გასაკვირი სულაც არ იქნება. მართლაც, გასულ ჩემპიონატში ბათუმელებს ხშირად უთამაშიათ უგერგილოდ. კაცს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნებოდა, თითქოს მათი მთავარი მიზანი მატჩის სწრაფად დამთავრება იყო... დგება ხოლმე ადამიანის ცხოვრებაში ისეთი მომენტი, როცა არაფერი გინდა, არაფერი შეგიძლია. ნაძალადევი კი რა გამოდის ხეირიანი, რომ ბურთის გორება გამოსულიყო. საოცარი ის არის, რომ ამგვარი დღეები თითქმის ყველა მოთამაშეს ერთად უდგება, თანაც, სამწუხაროდ, ბათუმელ ფეხბურთელთა ცხოვრებაში, ეტყობა, ასეთი პასიური დღეები ერთობ ხშირადაა და ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს ემთხვევა...

*ძალების დაზოგვა ანუ თავდაჯერებულობა:* რა თქმა უნდა, საჭიროა, საჭირო კი არა აუცილებელიცაა, თავდაჯერებული იყო და ძალებიც დაზოგო, მაგრამ ხანდახან ეს რომ დამღუპველიცაა, ვფიქრობ, საკამათო არავისთვის უნდა იყოს. მეტოქე ყოველთვის სათანადოდ უნდა შეაფასო, საკუთარ თავზე ზედმეტი წარმოდგენისთვის აუცილებლად დაისჯები. ალბათ, ამიტომაც წააგეს ბათუმლებმა ჭიათურაში და ბოლნისში. როცა ყველას ეგონა, რომ ჩემპიონატის მაჩანჩალებს ზღვისპირელები გადაუვლიდნენ, სწორედ მაშინ მოხდა პირიქით. მათ ზედმეტმა თავდაჯერებამ წააგებინათ. იფიქრეს, იოლად გავისეირნებთო, ჰოდა, საკადრისიც მიეზღოთ. მეტოქეს პატივისცემა სჭირდება, თუ სხვას არ დააფასებ, ნურც შენ ელი მისგან სიკეთეს.

*ხელფას-პრემიათა დაგვიანება:* სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევებიც ყოფილა — ხელმძღვანელები ფეხბურთელებს აგულიანებდნენ, დღეს თუ არა, ხვალ აუცილებლად გავსწორდებითო. მოვიდოდა ხვალე და ანგარიშსწორება ზეგისთვის გადაიდებოდა. ამასობაში კალენდარული მატჩიც მოატანდა და თუ ამ თამაშის დღეს ფეხბურთელთა უხასიათობაც დაემთხვეოდა, მაშინ მტრისას...თუმცა ბათუმელმა მობურთალმა იცის, კუთვნილი არ დაეკარგება, მისაღებს აუცილებლად მიიღებს და თუ ფული თამაშის დღეს ანაც 24 საათით ადრე აიღეს, თან ამას დადებითი კოსმიური ენერგიაც დაემატა, ისევ მტრისას, „ბათუმის" გამჩერებელი გუნდი არაა. ამის მომსწრენიც ძალიან ხშირად ვყოფილვართ. სხვა გუნდებთან შედარებით ბათუმელებს საწუწუნო არაფერი აქვთ. ხელისუფლებიდან დაწყებული კლუბის თავკაცებით დამთავრებული ყველა იმის ცდაშია, როგორმე ყოფა გაუიოლონ ფეხბურთელებს.

*გაჭირვებულთა დახმარება:* შეგნებულად არა მგონია, მაგრამ ფაქტი კია, „ბათუმი" უნებლიედ მართლაც ეხმარება საშიშ ზონაში მოქცეულ გუნდებს. ამის შესახებ ერთხელ მათმა მწვრთნელმა შოთა ჭეიშვილმაც თქვა — ჩვენ არსენიზმით ვართ დაავადებულნი, მდიდართ ქულებს ვართმევთ, აუტსაიდერებს ვურიგებთ. იმედი მაქვს, ამ სენისგან უახლოეს მომავალში „განვიკურნებითო" ყოველივე ალბათ ზემოთქმულ მიზეზთაგანაა გამომდინარე, უფრო კი მეტოქეთა შეუფასებლობის ბრალია, თორემ ვერავინ დაიჩემებს, „ბათუმი" ვინმეს დაუწვიაო. მათივე კაპიტნის მალხაზ მახარაძის თქმისა არ იყოს, ეროვნულ ჩემპიონატში „ბათუმი" და „დინამო" ის გუნდებია, რომელთაც ჩაწყობილი მატჩები არა მგონია ეთამაშიოთ...

ახლა ყოველივე შევაჯამოთ — განწყობა, თავდაჯერებულობა, ზოგჯერ უფულობა თუ შეგნებული არსენობა?

ჩემი აზრით, „ბათუმი" განწყობისა და ხასიათის გუნდია. ჩემპიონატის მეორე ტურში ისინი ხასიათზე არ იყვნენ, მალხაზ მახარაძემ მეკარეს ბურთი გაუგორა, სრულიად უხიფათო სიტუაცია იყო, მაგრამ ნიკა ტოგონიძემ ბურთს ფეხი ააცილა — „ბათუმმა" ჭიათურაში წააგო. მეოთხე ტური — ისევ უხასიაოთბა. „გურიასთან" ლანჩხუთში თითქმის წარმოუდგენელი ფრე. მეხუთე ტური — ბათუმში მაშინდელ „მორკინალთან" ისევ ფრე, ბათუმლები პირველ ტაიმში ხასიათზე იყვნენ, დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ შესვენების შემდეგ ნირი ეცვალათ. მეექვსე ტური — წყალტუბოში კვლავ ფრე, კვლავ 1:1. აი, მეშვიდე თამაშიდან ღზვისპირელები მოსაგებად განეწყვნენ. ჯერ „დინამო" დაამარცხეს, იქიდან მოყოლებული კი ექვსჯერ, შინ და სტუმრად იმარჯვეს, „ტორპედოსთან", „ოდიშთან", „მერანთან"... ამას ორი ფრეც დაურთეს და პირველი წრე დაამთავრეს. წესითა და რიგით განწყობა კარგი უნდა ჰქონოდათ, მოულოდნელად, წრეებს შორის შუალედში ფედერაციამ ხომ „დინამოს" ხუთი ქულა დააკლო. ჩემპიონობისთვის ბრძოლის რეალური შანსიც გაუჩნდათ. გუნდისთვის მეტი სტიმული რაღა უნდა იყოს? მაგრამ „ბათუმი" ფლეგმატიკოვითაა. მეორე წრის პირველივე მატჩი ბოლნისში წააგეს. მთელი მატჩის მანძილზე მხოლოდ ახალდამატებულმა ზირაქიშვილმა მოარტყა ერთხელ ბურთი ძელს და ეგ იყო. „ბათუმს" ეგონა, უვარჯიშებელ ბოლნისელებს გადაუვლიდნენ, თავდაჯერებულები იყვნენ, სათანადოდ ვერ განეწყვნენ, ბრძოლის ჟინი დაკარგული ჰქონდათ. იმ ტურში „დინამომ" რუსთავში მოიგო და „ბათუმიც" ისევ რამდენიმე ქულით მოიტოვა. მერე ცოტა შეტოკდნენ, სამჯერ მოიგეს. მე-20 ტურში თბილისში უკვე განახლებულ, გაახალგაზრდავებულ, სახელშეცვლილ „ვიტ ჯორჯიასთან" სათამაშოდ ჩამოვიდნენ, მეორე ტაიმის შუაში დაწინაურდნენ კიდეც და საქმე მოთავებულად ჩათვალეს, მოდუნდნენ, სათამაშო განწყობა დაკარგეს — შედეგი? გაუთვალისწინებელი უქულობა. ტურის შემდეგ „ბათუმი" „დინამოს" ეწვია. მაშინ კი ნაღდად ხასიათზე იყვნენ, ვაჟკაცურადაც იბრძოდნენ, მაგრამ „დინამომ" ორი უპასუხო გოლით აჯობა. ჩემპიონობის შანსი ფაქტობრივად ამის შემდეგ დაიკარგა, მაგრამ შესაძლებლობა ისევ იყო, რომელიც 25-ე ტურში საბოლოოდ დაიკარგა. შინ „მერანთან" ნულოვან ფრეს ვერანაირ გამართლებას ვერ მოუძებნი გარდა ერთისა — უბრალოდ, ისინი უხასიათოდ იყვნენ, იმ დილას მარცხენა ფეხზე ადგნენ. „მერანთან" მშვიდობიანად გაყრამ „ბათუმი" სამეორეადგილო პრობლემის წინაშე დააყენა, უფრო კი ქუთაისში წაგებამ. როცა საფრთხე იგრძნეს, შეფუცხუნდნენ, „ოდიში" და სტუმრად „კოლხეთი" დაამარცხეს და ვერცხლს დასჯერდნენ. ჩემპიონატიც ამით დამთავრდა, მაგრამ წინ მათთვის უმნიშვნელოვანესი მატჩი იყო — თასის ფინალი, სადამდეც „ბათუმმა" წლევანდლამდე ოთხჯერ გააღწია და ოთხჯერვე დამარცხდა. მათი განწყობა 25 მაისს, ფინალამდე ერთი დღით ადრე, უნდა გეკითხათ. ბათუმელებისთვის საფინალო პროგნოზების გამოკითხვა მე დამევალა და როცა სასტუმრო „მესაზღვრეში" მივედი, ფეხბურთელების იერსა და ქცევაში ყველაფერი ამოვიკითხე. მოსაგებად განწყობილნი საუცხოო ხასიათზე იყვნენ. პროგნოზებიც განწყობის შესაბამისი გამოთქვეს, საკმაოდ თამამად ამბობდნენ, მოვიგებთო. აკი მოიგეს კიდეც, მოიგეს თამაშითაც და ანგარიშითაც. ჭიჭველიშვილის ოქროს გოლმა მეხუთე საფინალო ცდა წარმატებით დააგვირგვინა.

მაშინ „ბათუმმა" უსაზღვროდ გაიხარა, მშობლიურ ქალაქში საზეიმო შეხვედრაც მოუწყვეს და გუნდი შვებულებაში წავიდა. „ბათუმმა" ვარჯიში გასული თვის ბოლოს განაახლა, მაგრამ... იმ ვერსიას მივადექით — ხელფას-პრემიების დაგვიანებას. გუნდი სრული შემადგენლობით ვერ ვარჯიშობდა, რადგანაც სათაო თანხის გადახდას ელოდნენ. ღმერთის შეწევნით ახლა ყველაფერი გამოსწორდა. ადრეც ხომ გითხარით, ფეხბურთელები მისალებს ადრე თუ გვიან მიიღებენ-მეთქი. ჰოდა, ასაღებიც აიღეს. ახლა სრული დატვირთვით ემზადებიან და „პარტიზანს" ელიან. ჰო, ევროტურნირებში მათი მეტოქე ვახსენე და ბარემ გასულ ევროპულ ვოიაჟზეც გეტყვით — „არარატი" მაქვს მხედველობაში. მაშინ, ერევანში თამაშისას, ყველაზე ნათლად გამოჩნდა, „ბათუმი" რომ განწყობის, ანუ ხასიათის გუნდია. რაც ჭეიშვილის ბიჭებმა სომხეთში გააკეთეს, მსგავსით ბევრი ვერ იტრაბახებს. მოულოდნელი და გასაკვირი არ იქნებოდა, „ბათუმის" საძაგებლადაც ენა არავის მოუბრუნდებოდა, ზღვისპირელებს ერევანში თუნდაც დიდი ანგარიშით რომ წაეგოთ. პირველი მატჩის შემდეგ ხომ მოგებული გუნდი წაგებულად გამოაცხადეს და სამბურთიანი სხვაობით, უპასუხო გოლით. განა იოლია, ერევანში სამი ბურთი გააბათილო, თანაც მეოთხე დაურთო შემდეგ ეტაპზე გასასვლელად? ვფიქრობ, ძალიან ძნელია. „ბათუმმა" მაშინ დაამტკიცა, რომ განწყობის ხელოვნურად შექმნაც შეიძლება, მოინდომეს, ალივსნენ ბრძოლის ჟინით, 2:0 მოიგეს და 8:0 უნდა მოეგოთ. იღბალმა ზურგი აქციათ.

მაშ, ისევ იბადება კითხვა — ყოველთვის რატომ არ ცდილობენ, გასამარჯვებლად განეწყონ? ერევანში მოინდომეს და კაცურად მოიგეს. მაშ, ბოლნისსა და ჭიათურაში უსუსურად რად მარცხდებიან? ეტყობა, რაცაც აკლიათ, ის რაღაც კი ფსიქოლოგის სიტყვაა, რომელიც ხასიათზე მოგიყვანს, გასამარჯვებლად განგაწყობს.

ბოლოს კი იმედად ისევ შოთა ჭეიშვილის სიტყვები დავიტოვოთ — უახლოეს მომავალში განვიკურნებითო...

და მაინც, „ბათუმი" კარგი, კოლორიტული გუნდია.

**ბობა ინასარიძე**




„ბათუმმა" წელს ჩემპიონობა ვერ შეძლო, სამაგიეროდ თასი მოიპოვა და მეორეობას დასჯერდა



# ჩივაძემ ასპარეზი ჟორდანიას დაუთმო

**ალექსანდრე ჩივაძემ საკუთარი კანდიდატურა მოხსნა და ფედერაცია საგონებელში ჩააგდო. ბევრი რამ მაინც საბოლოოდ აღმასკომის სხდომაზე გაცხადდება, რომელიც 17 ივლისს 2 საათზე დაიწყება. დღეს კი, პრეზიდენტობის ყველა ოფიციალური თუ სავარაუდო კანდიდატის კომენტარს გთავაზობთ ალექსანდრე ჩივაძის მოულოდნელი და შოკისმომგვრელი გადაწყვეტილების თაობაზე.**

### ნოდარ ანდრიაძე

**— იცოდით თუ არა წინასწარ ამ გადაწყვეტილების შესახებ და როგორ აფასებთ ჩივაძის ნაბიჯს?**

— ეს ფაქტი ჩემთვის მოულოდნელი იყო. პარასკევს ჩვენ გავნაწილდით. საშა ეროვნულ სტადიონზე უნდა წასულიყო მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ სხვა საქმე გამოუჩნდა და მე მომიხდა იქ მისვლა. შემდეგ შევხვდი ქართლის რეგიონალური ორგანიზაციის წარმომადგენლებს. საღამოს 5 საათზე უნდა გვენახა ერთმანეთი, მაგრამ არ მოხერხდა. შაბათს დილით კი ქუთაისში გავემგზავრე „ტორპედო“ — „ლომელის“ მატჩზე. გუშინ დილით ვნახე საშა და ყველაფერი მაშინ გავიგე. ინფორმაცია, რომ მან თავისი კანდიდატურა მოხსნა, მართალია, თვით გადაწყვეტილება კი, ჩემი აზრით, არასწორი. ეს ჩივაძის კონსტიტუციური უფლებაა, მაგრამ, სამწუხაროდ, საერთო საქმისთვის არ არის მიზანშეწონილი. მან ეს ფაქტი იმით ახსნა, რომ მშვიდი ხასიათის, წყნარი ცხოვრების მომხრე ადამიანია და დაპირისპირებასა და კონფრონტაციას ვერ იტანს. იგი თანახმაა, დარჩეს ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე და, როგორც ადრე, კურირება გაუწიოს ეროვნული ნაკრებების შეხვედრების ჩატარების ორგანიზაციულ საკითხებს. ეს ყოველივე რამდენად წაადგება ქართულ ფეხბურთს, ამაზე დაფიქრება გვმართებს. ჩემი აზრით, ეს არ იყო გამართლებული ნაბიჯი და რატომ, მოგახსენებთ. მას ძალიან ბევრის გაკეთება შეეძლო. საშა უეფას და ფიფას კონგრესებში მონაწილეობდა. გაიცნო მაღალჩინოსანი მოხელეები და მათი მეშვეობით შეეძლო, ქართული ფეხბურთისთვის სარგებლობა მოეტანა. ამის გარანტიას იძლეოდა ჩივაძის დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი, რაც საფეხბურთო სამყაროში ძალიან ძვირად ფასობს.

ახლა ყველა კითხულობს, რატომ მიიღო ჩივაძემ ეს გადაწყვეტილება? რისთვის? კარგად ვიცნობ საშას, მის ხასიათს. ვფიქრობ, ეს პარლამენტში ჩატარებული ფედერაციის შემოწმების აქტის განხილვის შედეგია. ეს აქტი საპარლამენტო კომისიამ შეადგინა ბატონი ნოდარ ამაღლობელის ხელმძღვანელობით და იგი ფედერაციის რვაწლიან საფინანსო საქმიანობას შეეხება. კრებაზე იყო კონფრონტაციის და სხვადასხვა ცილისწამების ფაქტები. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ჩივაძის ცხოვრებაში ამგვარი რამ არასდროს ყოფილა. ასეთ სიტუაციაში იგი პირველად მოხვდა. იცით? როცა თანამდებობის პირები აცხადებენ, ახალკაცი ერთი თავკერძა მწვრთნელი იყო, რას გადაგვაყოლეთ მაგ კაცსო, ძნელია ჩივაძისნაირმა პატიოსანმა ადამიანმა და საერთოდ ნებისმიერმა ნორმალურად მოაზროვნე ქართველმა სიმშვიდე შეინარჩუნოს. პარლამენტში სხვა არასასიამოვნო დიალოგებსაც ჰქონდა ადგილი. სწორედ ამან გადააწყვეტინა საშას, ასე მოქცეულიყო. მე ტელევიზიითაც განვაცხადე, რომ ჩვენ თანახმა ვართ, შემოწმების ყველა მასალა სასწრაფოდ პროკურატურას გადავცეთ. არავის ვაყენებ შეურაცხყოფას, მაგრამ ფედერაციაში ყველა საბუღალტრო და საფინანსო საქმიანობა მიჰყავდა ცხონებულ ნოდარ ახალკაცს, საშას იქ არავითარი შეხება არ ჰქონია. მეც ახალი მისული ვარ ფედერაციაში. ხალხმა უნდა გაიგოს სიმართლე. სწორედ ამისთვის არის საჭირო, ეს საქმე პროკურატურამ განიხილოს. ჩემს თავს მოვალედ ვთვლი, პირადად ჩავერიო და დავაჩქარო ეს პროცესი. ბოლოს და ბოლოს უნდა გაირკვეს ყველაფერი. თუ კრიმინალია ჩადენილი, ამას რეაგირება სჭირდება. თუ არ არის კრიმინალი, უნდა მოიხსნას ყოველგვარი ბრალდება და ცილისწამება როგორც განსვენებულის, ასევე ცოცხლების მიმართ.

რაც შეეხება ჩავაძის გადაწყვეტილებაზე რეგიონებში გამოხმაურებას, ამას წინათ გვქონდა შეხვედრები აჭარის, იმერეთის, სამეგრელოს, ქართლის, ქვემო ქართლის რეგიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ყველა ერთხმად აღიარებდა ჩივაძეს მომავალ პრეზიდენტად. საშა უდიდესი ფეხბურთელი იყო, მაგრამ პირველ რიგში იგი დიდი ადამიანია, ღირსეული პიროვნებაა. მასში ორივე მხარეა შერწყმული. ახლა როგორ გაიგებენ ამას საქართველოს სხვადასხვა რეგიონის დელეგაციები? არის საშიშროება, რომ ზოგიერთი მათგანი არ ჩამოვიდეს ყრილობაზე. ისე არ გამიგოთ, თითქოს პანიკას ვქმნიდე, მაგრამ აქ სულ სხვა ფაქტორი მოქმედებს. ჩვენ გვინდა, პრეზიდენტი დიდი ზნეობის მქონე ადამიანი იყოს. მისი მთავარი ინვესტიცია პატიოსნება უნდა იყოს. ამიტომ გვსურდა, რომ საშას გადაეფიქრებინა თავისი გადაწყვეტილება და ანგარიში გაეწია ხალხისთვის. ღმერთმა ნუ ქნას, რაიმე ცუდი ვთქვა მერაბ ჟორდანიაზე, ეს გამორიცხულია, მაგრამ თავის დროზე მერაბმა უარი თქვა არჩევნებში მონაწილეობაზე. ახლა კი გაკვირვებული ვარ. შეიძლება საშაზე ამ ფაქტორმაც იქონია გავლენა. ისინი მეგობრები არიან და როცა ჟორდანიამ კანდიდატურა წამოაყენა, ამან ჩივაძის თავმოყვარეობაზე იმოქმედა. აი, ეს ყველაფერი იფიქრა, ალბათ, აწონ-დაწონა და, სამწუხაროდ, ამგვარი ნაბიჯი გადადგა. ვნახოთ, ყრილობაც მალე იქნება და ვინც გაიმარჯვებს, ჩვენც მხარში ამოვუდგებით ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ, თუ, რა თქმა უნდა, მას ექნება თანამშრომლობის სურვილი.

**— ჰქონდა ადგილი ჩივაძესა და ჟორდანიას შორის რაიმე გარიგებას?**

— სხვათა შორის, ძალიან ბევრმა დამირეკა. ზუსტად ასევე აყენებენ საკითხს, ის ადამიანები, რომლებიც საშა ჩივაძის პიროვნებას ბოლომდე კარგად არ იცნობენ.

ძალიან გულსატკენი ფაქტია. საშა არ არის იმის კაცი, რაიმე გარიგებაზე წავიდეს. ეს გამორიცხულია, მაგრამ მას შეუძლია მეგობრისთვის ყველაფერი გაიღოს, ყველაფერი გააკეთოს.



იგი სირაქლემას დღეში არასოდეს ჩაიგდებს თავს, რადგან კარგად იცის, რომ საქართველოში არაფერი დაიმალება. მე გამოვრიცხავ აგრეთვე ზედა ეშელონებიდან ზეწოლის ფაქტორს. არაერთხელ მქონდა საუბარი ქვეყნის პრეზიდენტთან და კარგად ვიცი მისი აზრი — ეს არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია. დე, ყრილობამ დემოკრატიული გზით აირჩიოს თავისი პრეზიდენტი.

**— ლაპარაკია, თითქოს თქვენი კანდიდატურის წამოყენებას აპირებთ ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე.**

— ჯერ არც მიფიქრია ამის შესახებ. ისე, არ დაგიმალავთ და ძალიან ბევრი მოვიდა ჩემთან ასეთი თხოვნით. შემიძლია 24 საათი ვიმუშაო, მაგრამ მე კარიერის მაძიებელი კაცი არა ვარ. ჯერჯერობით ამაზე საუბარიც ზედმეტია.

ბოლოს მინდა ერთი განცხადება გავაკეთო, რომელიც „სარბიელს“ ამასწინანდელ ინტერვიუშიც განვუცხადე, მაგრამ, სამწუხაროდ, არ დაიბეჭდა. საქმე ეხება ბატონ შოთაძის ბრალდებას. შეიძლება კაცმა ანდრიაძეზე ბევრი რამე თქვას, მაგრამ უწოდოს ანგარებიანი, ეს ყოველგვარ ზღვარს სცილდება. მე ანგარიშსწორების გულისთვის არ ვამბობ, ღმერთმა დამიფაროს. ამ ახალგაზრდა კაცმა თუ ამ გზით იარა, ცხოვრებაში სასიკეთოს ვერაფერს გააკეთებს. ვიმეორებ, ჩემი ავტორიტეტი ჩემს შვილს და შვილიშვილს ეყოფა. ამ ბრალდების გამო შემიძლია, შოთაძეს სასამართლოში ვუჩივლო და პასუხი მოვთხოვო, მაგრამ ამას არ ვიკადრებ. ამის უფლებას ჩემი კაცობა და ადამიანობა არ მაძლევს.

ხვიჩა სანიკიძე

### რამაზ გოგლიძე



— გაოცებული ვარ. ჩემთვის მოულოდნელი იყო ბატონი საშას გადაწყვეტილება. ფაქტობრივად ის დიდი სამუშაო, რაც წინასაარჩევნო პერიოდში ჩაატარა, წყალში ჩაიყარა. პირდაპირ გეტყვით, მას გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი ჰქონდა. რეგიონებთან ინტენსიური და ნაყოფიერი კონტაქტებიც უმაგრებდა ზურგს. არ ვიცი, რამ აიძულა ჩივაძე, ეს გადაწყვეტილება მიეღო. არც ის ვიცი, ამის შემდეგ ძალები როგორ გადანაწილდება.

**— ყოველივე წინასწარ მოფიქრებული სცენარით ხომ არ მიმდინარეობს?**

— შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ მინდა განვაცხადო, რომ ამისგან შორს ვდგავარ. თუ დავრწმუნდი, რომ ყოველივე დანიშნული კარტებით თამაშს ჰგავს, მაშინ არჩევნების წინ მოვხსნი ჩემს კანდიდატურას. მერწმუნეთ, მე არა მყავს ჩემი გუნდი, მე პატიოსნად ვიბრძვი. მოგიწოდებთ ჟურნალისტებს, მოვუწოდებ ყველას, მაქსიმუმი გავაკეთოთ იმისთვის, რომ წინასაარჩევნო პერიოდმა არ დააქუცმაცოს ისედაც დანგრეული ჩვენი ქვეყანა და საზოგადოება, რომ ყველამ ხელი შევუწყოთ ერის გაერთიანებას. ეს პროცესი თუნდაც ფეხბურთით დავიწყოთ..

**— არჩევნების ჩატარების სისტემაზე უკმაყოფილება არაერთხელ გამოგითქვამთ...**

— მე სხვანაირი არჩევნების მომხრე ვარ, არა ისეთის, როგორიც ახლა მიდის. ფაქტობრივად დარღვეულია სამანდატო სისტემა. მაგალითად, სპორტის აკადემიასა და ფეხბურთის კათედრასაც კი არ გააჩნიათ ხმის მიცემის უფლება. უპრიანი იქნებოდა აგრეთვე, არჩევნების შემოდგომაზე ჩატარება.

**— ჩივაძის განცხადებამ გარკვეული როლი ხომ არ ითამაშა თქვენს შანსებზე მოახლოებულ არჩევნებში?**

— აბსოლუტურად არავითარი. სიტუაციაში საბოლოოდ გარკვევამდე გავაგრძელებ ინტენსიურ მუშაობას ამ მხრივ. ხვალიდან რეგიონებში მივემგზავრები, შევხვდები ამომრჩევლებს და მათ ჩემს მოსაზრებებს გავუზიარებ. მინდა გითხრათ, რომ იდეალური არავინ არის დედამიწაზე. აქედან გამომდინარე, იდეალური კანდიდატი ვერავინ იქნება. ჩვენ უსათუოდ უნდა გავერთიანდეთ, უნდა დავფიქრდეთ, ვის უფრო შეუძლია ქართული ფეხბურთის ჭაობიდან ამოყვანა.

პაატა კვანტალიანი

### ილია დათუნაშვილი

**— თქვენი კომენტარი ბატონ ალექსანდრე ჩივაძის გადაწყვეტილების შესახებ?**

— ზუსტად ვერ გეტყვით, რამ განაპირობა მისი ამგვარი ქმედება. რაღაცაშია საქმე. ჩემთვის ეს ფაქტი მოულოდნელი იყო. ვფიქრობ, ჩივაძის მიმართ ზეწოლას ჰქონდა ადგილი ან საპარლამენტო კომისიის შემოწმებისას ფედერაციის ფინანსურ საქმიანობაში ნახეს დარღვევები.

**— ბატონი ნოდარ ანდრიაძის შესაძლო კანდიდატურაზეც ლაპარაკობენ...**

— დავით კვინიკაძის განცხადების თანახმად, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია კანდიდატურის წამოყენება თვით ყრილობის დღეს. რა ვიცი, თუ აქამდე ბატონ ნოდარს ამგვარი სურვილი არ გამოუთქვამს, ახლა რას მოიმოქმედებს, ვერ გეტყვით. ეს მისი პრეროგატივაა. თუმცა, არა მგონია, ანდრიაძემ კენჭი იყაროს პრეზიდენტობაზე.

**— არსებობს ეჭვი, რომ ჩივაძის მოქმედება მერაბ ჟორდანიასთან იყო შეთანხმებული და ერთგვარ გარიგებასთან ვგაქვს საქმე.**

— მიმაჩნია, რომ ეს ყველაზე სალი აზრია. რაღაც მოლაპარაკებას და ალიანსს რომ აქვს ადგილი, ფაქტია, მაგრამ ვისთან, კონკრეტული პასუხის გაცემა არ შემიძლია. ცილს ვერავის დავწამებ.



ხვიჩა სანიკიძე

### მერაბ ჟორდანია



ალექსანდრე ჩივაძის უარით ფეხბურთის ფედერაციის მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებს, ვფიქრობთ, ერთი რეალური კანდიდატიღა შემორჩა — მერაბ ჟორდანია. მართალია, მის გარდა პრეზიდენტობას რამაზ გოგლიძე და ილია დათუნაშვილიც აპირებენ, მაგრამ...

წინასწარ რაიმეს გადაჭრით თქმა ძნელი საქმეა, თუმცა ერთიცაა: ალექსანდრე ჩივაძემ თავისი საპრეზიდენტო კანდიდატურა მერაბ ჟორდანიასთან შეთანხმებით მოხსნა. იგი „დინამოს“ პრეზიდენტის ბანაკში გადავიდა, აქედან გამომდინარე კი მისი მხარდამჭერნი, ალბათ, ჟორდანიას მისცემენ ხმას. ყოველივე ელემენტარულია — წინასაარჩევნო თამაში.

გაამართლებს ჩივაძე-ჟორდანიას შეთანხმება? პასუხს 24 ივლისს მივიღებთ.

გუშინ კი, მოუცლელობის მიუხედავად, მერაბ ჟორდანია სიამოვნებით დაგვთანხმდა ჩივაძის საქციელის კომენტირებაზე.

— ჩივაძეს კანდიდატურის მოხსნის შემდეგ არ შევხვედრივარ, თუმცა ადრე ხშირად გვისაუბრია. მე და საშა ჩივაძე, ფაქტობრივად, ერთ აზრზე ვიყავით, წინასაარჩევნოდ ერთნაირი პროგრამა გვქონდა, გარდა ამისა, დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს და შეუძლებელი იყო, ერთმანეთის საწინააღმდეგოდ რაიმე მოგვემოქმედებინა. როცა კანდიდატურა წამოვაყენე, ყოველივე მასთან შეთანხმებით მოხდა. მერე დავსხედით, ვისაუბრეთ და გადავწყვიტეთ — ან საშა დარჩებოდა კანდიდატად, ანაც მე. ჩივაძემ ასე ამჯობინა, ასპარეზი დამითმო, თუმცა ამის შესახებ პირადად ჩემთვის არაფერი უთქვამს.

**— თქვენ და ჩივაძე, ფაქტობრივად, ალიანსში ხართ...**

— შეიძლება ასეც ვთქვათ. ხშირად გვითქვამს, რომ არჩევნებისას ჩვენ ერთად ვიქნებოდით. იქნებ უცხო თვალისთვის შეუმჩნეველი იყო, მაგრამ ვიმეორებ, ერთმანეთს საკმაოდ ხშირად ვხვდებოდით. ბოლო დროს კი საუბრის თემა ერთი გახლდათ — რომელი გავაგრძელებდით პრეზიდენტობისთვის ბრძოლას.

**— რადგან ასე მოხდა, პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატი თქვენ დარჩით. გამარჯვების შემთხვევაში ახალ საქმიანობაში, ალბათ, ჩივაძესაც დაიხმართ.**

— ეს უეჭველია. მარტო ჩვენი ურთიერთობა არაა მთავარი. ალექსანდრე ჩივაძე ფეხბურთის ფედერაციაში უნდა საქმიანობდეს და მუდამ ქართულ ფეხბურთთან იყოს დაკავშირებული. არა მგონია, საქართველოში ისეთი პიროვნება მოიძებნებოდეს, რომელიც ფედერაციის პრეზიდენტობისას ჩივაძეს სამსახურიდან დაითხოვს. ცოტა მეუხერხულება კიდეც ამაზე საუბარი.

**— ამბობენ, ჩივაძის გადაწყვეტილება ნაწილობრივ ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით კვინიკაძემაც განაპირობაო. თითქოს კვინიკაძის გამო მან ნახევარი საახლობლო მოიმდურა.**

— საშას ჩემთვის მსგავსი არასდროს უთქვამს. თუ მას დავით კვინიკაძის პიროვნება რაიმეში ხელს უშლის, არ ვიცი.

**— თქვენი პრეზიდენტობისას კვინიკაძეს რა ბედი ეწევა?**

— ალბათ, დამეთანხმებით, დიდი ხნის განმავლობაში დავით კვინიკაძე ქართული ფეხბურთის ფერხულში იყო ჩაბმული. იგი ძალიან დიდ პროფესიონალად და თავისი საქმის მცოდნედ მიმაჩნია.

**— ჩივაძემ უარი კი თქვა, მაგრამ ორი კანდიდატი დარჩა. მათი ხომ არ გეშინიათ?**

— არანაირ შიშს არ ვგრძნობ. პრეზიდენტობა ჩემი თვითმიზანი არ გახლავთ. თუ გახსოვთ, ძალიან ვიკავებდი თავს, მაგრამ ბოლოს, პერსპექტივა რომ დავინახე, მაინც გადავწყვიტე კენჭი მეყარა.

სხვებისგან განსხვავებით მე და ჩივაძე მთელი ცხოვრება ფეხბურთში ვართ, მას ერთი წუთითაც არ მოვშორებივართ. ჩვენ არავის პოზიციის გაზიარების უფლება არ გვაქვს. დრო გავა და ხალხი ფეხბურთის განვითარებაზე პასუხს ჩვენ მოგვთხოვს, მიუხედავად იმისა, ვიქნებით მე და საშა ფედერაციის სათავეში თუ არა. არავის გაახსენდება ის ხალხი, დღეს ან სამომავლოდ ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელობა რომ სურთ. ფეხბურთი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და საკუთარ თავს მოვთხოვთ, მოვკითხავთ კიდეც, პასუხისმგებლობასაც ვკისრულობთ ყველას წინაშე

**— ფედერაციიდან რომ ვინმემ კანდიდატურა წამოაყენოს, იგივე ანდრიაძემ, ერთი კონკურენტი მოგემატებათ...**

— არ მინდა, სიტყვა „კონკურენტი“ ვიხმარო, არც ბატონ ანდრიაძეზე, არც დანარჩენებზე. ზედმეტად მიმაჩნია, სხვა კანდიდატები კონკურენტის რანგში ავიყვანოთ, რადგანაც, მე და ალექსანდრე ჩივაძე მთელ პასუხისმგებლობას ჩვენს თავზე ვიღებთ.

კობა ინასარიძე

---

ციურიხი „გრასჰოპერი“ ჩემპიონთა ლიგას უმიზნებს

## ყაველაშვილმა გოლებით დაიწყო

ახალი საფეხბურთო სეზონი მოახლოვდა და ევროპული კლუბებიც შეუდგნენ მზადებას. მათ შორისაა გიორგი ნემსაძისა და მიხეილ ყაველაშვილის „გრასჰოპერიც“. შვეიცარიული კლუბის ხელმძღვანელობას ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობა განუზრახავს (ამისთვის ლუქსემბურგის „ჟენესს“ და თურქეთის „გალათასარაის“ უნდა სძლიონ) და საამისოდ საკმაოდ სერიოზულად ემზადებიან. ორიოდე დღის წინ „კალიები“ ამხანაგურად ინგლისურ „ტოტენჰემს“ გაეჯიბრნენ და შვიდი ათასზე მეტი გულშემატკივრის წინაშე 3:1 დაამარცხეს ძლიერი მეტოქე. ამ მატჩში თავი გამოიჩინა ყაველაშვილმა, რომელმაც ორი გოლი გაიტანა.

„ტოტენჰემთან“ გამაჯვებული „გრასჰოპერი“ მეორე დღეს შეცვლილი შემადგენლობით თურქულ „ფენერბახჩეს“ ეთამაშა. შეხვედრა ფრედ — 2:2 დასრულდა. ყაველაშვილი ამ მატჩში არ მონაწილეობდა.

„კალიების“ გულშემატკივართა სასიხარულოდ, კლუბთან კიდევ ერთი წლით გააგრძელა კონტრაქტი შვეიცარიის ნაკრების თავდამსხმელმა კუბილაი თურქილმაზმა, რომელიც გასულ სეზონში გუნდის საუკეთესო ფეხბურთელი იყო.

ნემსაძეს რუსეთთან მატჩში მიღებული ტრავმა კი მოუშუშდა, მაგრამ დიდ დატვირთვებს და ორთაბრძოლებში ჩართვას ჯერ ერიდება. სხვათაშორის, ნემსაძეს ესპანური ვიგოს „სელტა“ ეპატიჟებოდა, მაგრამ გიორგი პირინველთა პირობებს არ დაყაბულებულა

ვანო ოქროპირიძე

ლეგიონი ფინკე უკმაყოფილოა, კობიაშვილი რატომ წამგვარეთო

## იაშვილი დასარჩენად ემზადება

ახალი სეზონისთვის მზადება ალექსანდრე იაშვილის „ფრაიბურგმაც“ დაიწყო. კლუბის მწვრთნელის ფოლკერ ფინკეს განცხადებით, მისი მიზანი ბუნდესლიგის მომავალ ჩემპიონატში მეთხუთმეტე ადგილის დაკავებაა — „ნებისმიერი უფრო მაღალი ადგილი ჩვენთვის უდიდესი წარმატება იქნება“ — აღნიშნავს იგი. ასეთი მოკრძალებული შედეგით დაკმაყოფილებას ფინკე გუნდის ახალგაზრდული ასაკითა და გამოუცდელობით ხსნის. იგი არც იმას მალავს, რომ წამყვანი ფეხბურთელებით, მათ შორის იაშვილითაც, ბუნდესლიგის ძლიერი კლუბები არიან დაინტერესებული, მაგრამ, მწვრთნელის აზრით, ამ ბიჭებისთვის „ფრაიბურგში“ თამაში დარჩენა, რათა პირველ ბუნდესლიგას მოერგონ.

ფინკემ უკმაყოფილება გამოთქვა კობიაშვილის თბილისის „დინამოში“ დაბრუნებით, თუმცა დასძინა, კონტრაქტი კონტრაქტია, ჩვენ კობი სეზონის ბოლომდე ვითხოვეთ და ეს ვადა ამოიწურა, მიუხედავად ამისა, იმედი გვაქვს, რომ იგი ადრე თუ გვიან დაგვიბრუნდებაო. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ „დინამო“ ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერ მოიპოვებს. ჩვენ კი ვიმედოვნებთ, რომ იაშკას კარგი თამაშის წყალობით „ფრაიბურგი“ უფრო მეტს მიაღწევს, ვიდრე ფინკე ვარაუდობს.

ვანო ოქროპირიძე

ტალინი ქართველები ესტონელ კოლეგებს ბრძოლაში დაუზავდნენ

## დინამო უხეშობს

ტალინში მოსაზადებლად მყოფმა თბილისის „დინამომ“ გუშინწინ მესამე ამხანაგური მატჩიც ითამაშა. ამჯერად ჩვენებურთა მეტოქე ესტონელთა ჩემპიონი ტალინის „ფლორა“ გახლდათ. მატჩი ფრედ — 1:1 მორჩა. დინამოელები მე-40 წუთზე მიხო აშვეთიამ დააწინაურა, მაგრამ მეორე ტაიმში ჩვენები მოდუნდნენ, თანაც მსაჯმა 76-ე წუთზე გივი კვარაცხელია მეორე გაფრთხილებისთვის მოედნიდან გააძევა და მასპინძლებმა ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს.

„დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: სოლოლაშვილი, ჯელაძე, დიდავა, მუჯირი (გ. შენგელია 67, ქემოკლიძე 79), ჭიჭვეიშვილი, კვარაცხელია, ა. სახვაძე (ლ. მელქაძე 66), კობიაშვილი, ცქიტიშვილი, აშვეთია (ბ. შენგელია 66), გუჩუა

ჩვენებს თურმე საკმაოდ კარგად უბურთავიათ, განსაკუთრებით შესვენებამდე, მაგრამ მერე დაღლა დასტყობიათ, ემჩნეოდათ, მომზადება ახალდაწყებული რომ ჰქონდათ. განსაკუთრებით ძლიერად მუჯირი და სოლოლაშვილი გამოიყურებოდნენ, მეკარეს რამდენიმე მკვდარი ბურთიც აუღია. კვარაცხელია კი მეორე ფეხბურთელია კობიაშვილის შემდეგ, რომელიც მსაჯმა ტალინში მინდვრიდან გააძევა.

კობა ინასარიძე

## საქართველოს ჩემპიონატი

**ამ ტურმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ „დინამომ“, „აიამ“ და თსუ-მ მეორე ეტაპზე გამსვლელი მეექვსე ადგილის მფლობელის ვინაობა ურთიერთშეხვედრებში უნდა გაარკვიონ, თორემ მოწინავე ხუთეულის არც ერთი წარმომადგენლის დამმარცხებელნი ესენი არ არიან. ამის მაგალითი გუშინდლამდეც საკმაოდ ყოფილა და გუშინაც ვიხილეთ**

# ათი წუთი და... მორჩა

**გუმარი 47:6 დინამო**

**გუმარი: 7ლ: ჯავრიშვილი, სორდია, ლაბაძე, მათიაშვილი, აბაშიძე, ურჯუკაშვილი, მჭედლიშვილი, 6გ: ურჯუკაშვილი**

**დინამო: 2ს: აბდუშელიშვილი**

„გუმარ“ — „დინამოს“ შეხვედრის საწყის ათ წუთში გუმარელებმა ორჯერ გაუტანეს მეტოქეს ლელო, ურჯუკაშვილმაც ჩვეული ოსტატობით ორჯერვე ზუსტად გარდასახა. ნათელი შეიქნა, რომ მატჩი დიდი ანგარიშით დამთავრდებოდა. ასეც მოხდა. პირველ ნახევარში გუმარელმა ლაბაძემ კიდევ ერთი ლელო გაახერხა, ტაიმი კი 21:3 დამთავრდა. თუმცა ეს ძალთა შეფარდებას სრულად არ ასახავს. გუმარს კიდევ რამდენიმე ლელოს გატანა შეეძლო, მაგრამ თავს არ იწუხებდა.

მეორე ტაიმში სურათი არ შეცვლილა, მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი ჩანდა, რასაც შედეგად მათიაშვილის, აბაშიძის, ურჯუკაშვილისა და მჭედლიშვილის ლელოები მოჰყვა. ერთადერთი, რაც „დინამომ“ ამ მატჩში შეძლო, სამი საჯარიმოს დარტყმის უფლების მოპოვება იყო, რომელთაგან აბდუშელიშვილმა ორი გამოიყენა. თუმცა ესეც საქმეა, სხვები ხომ ამასაც ვერ ახერხებენ...

**პაატა თოთაძე**

# ავლაბარში არმიელებმა იძალეს

**ასკ 27:5 თსუ**

**ასკ: 4ლ: ძამიაშვილი; შველიძე, იობაძე (2); 2გ: ძამიაშვილი; 1ს: ძამიაშვილი**

**თსუ: 1ლ: მჟავანაძე**

გუშინდელი ავლაბრული მატჩის მონაწილეთ საპირისპირო მიზნები ამოძრავებთ: არმიელებს საპლეიოფო ელიტაში სურთ მოხვედრა, მომავლისკენ მაცქირალი უნივერსიტეტელთა ახალგაზრდული გუნდი კი წლევანდელ ჩემპიონატს ჯერ მხოლოდ გამოცდილების შესაძენად იყენებს.

შეხვედრაც ამ ვითარების შესატყვისი გამოდგა. ულიმღამო და მოსაწყენ თამაშში არმიელებმა პირწმინდად დაჩაგრეს სტუდენტები, რაზეც ანგარიშიც თვალნათლივ მეტყველებს, მათ მთელი შეხვედრა მეტოქის ნახევარზე გაატარეს და პრაგმატული, გამარტივებული, უეშმაკო თამაშით მიაღწიეს საწადელს. სტუდენტები მოედანზე სტატისტებად ჩანდნენ. ყოველ შემთხვევაში, მათ მხოლოდ სურვილი ეტყობოდათ შეტევების წამოწყებისა და მაქსიმუმი, რასაც მიღწიეს, რამდენჯერმე მეტოქის ლელომდე მისვლა იყო, ესეც უშედეგო. არმიელები ამ დღესაც კარგად ბოჭავდნენ და ერკინებოდნენ მეტოქეებს. სტუდენტებმა ერთადერთი ლელო თამაშის პირველსავე წამებზე გაიტანეს, როცა მეტოქემ მოედნაზე განლაგებაც კი ვერ მოასწრო, თორემ შეიძლებოდა საერთოდ უქულოდ დარჩენილიყვნენ. მათ ისიც კი დავიწყებოდათ, რაც იცოდნენ და რასაც ტრიბუნიდან მწვრთნელიც ახსენებდა, ვარჯიშებზე რა ისწავლეთო.

რაც შეეხებათ არმიელებს, მწვრთნელი ლევან მგელაძე მათაც გვარიანად ანერვიულეს, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, როცა მხოლოდ ერთი ლელო გაიტანეს და ისიც მას შემდეგ, რაც მწვრთნელმა საგანგებო და სასწრაფო ტაქტიკურ ცვლილებებს მიმართა. მათ რიგებში კარგი დამრტყმელობით პირველ ტაიმში ისევ გამოირჩა გელა ძამიაშვილი, თუმცა პირველი ტაიმის ბოლოს მასაც უმტყუნა სამიზნემ და მის ამხანაგებსაც.

**ირაკლი თავაძე**

# რამ გადაგრია, ბეყე?

**აია 3:20 დათვები**

**აია: ს: შვანგირაძე**

**დათვები: 2ლ: გოგისვანიძე, აბაშიძე, 2ს და 2გ: ე. ძაგნიძე**

**გაძევება: გურეშიძე („დათვები“)**

ბათუმელი „დათვები“ რასაც წარმოადგენენ, საქვეყნოდ ცნობილია. მწვრთნელებმოთამაშეებიანად აქ 16 ქუთაისელს მოუყრია თავი. ამ რამდენიმე დღის წინ ზღვისპირელებს ერთი ექსაიელიც შემატებიათ, „კოსმოსიდან“ სხვა თანამემამულეებს გამოსწრებული „პატარა ბეყე“ — ემზარ ძაგნიძე.

ყოფილ და დღევანდელ აიელთა გუშინდელი შეხვედრა დაძაბულად წარიმართა. უფრო გამოცდილმა „სტუმრებმა“ მხოლოდ 25-ე წუთზე გატეხეს მეტოქის წინააღმდეგობა. „დათვებმა“ კარის ხაზთან ახლოს მძლავრი ბიძგით გაარღვიეს მასპინძელთა შერკინება და გოგისვანიძემ თავგანწირული ნახტომით ბურთი ჩათვლის მოედანში შეიტანა. ძაგნიძემაც ხუთიოდე მეტრიდან გამეტებულად დაარტყა და გარდასახა. შუა მეორე ტაიმში ისევ ძაგნიძემ იმარჯვა, ზუსტად შეასრულა საჯარიმო, რასაც ასევე საჯარიმოდან, დაახლოებით 45 მეტრის მანძილიდან შვანგირაძის სნაიპერული სიზუსტით დარტყმული მოჰყვა. ამ მომენტიდან უპირატესობას „აია“ ფლობდა, თუმცა დაცვაში დაშვებულმა დასანანმა შეცდომამ ბათუმელებს ანგარიშის გაზრდის საშუალება მისცა. აბაშიძემ მასპინძლებს ლელო გაუტანა, ხოლო ძაგნიძემ კვლავაც ზუსტად გარდასახა. ბოლო ათი წუთი „აიას“ რიცხობრივი უპირატესობაც ჰქონდა, მაგრამ ვერაფერი გააწყო. პირიქით, ძაგნიძემ ერთი საჯარიმოც გამოიყენა.

„დათვების“ მწვრთნელი რამაზ სვანიძე შედეგით, რაღა თქმა უნდა, კმაყოფილი დარჩა, ოთხეულში მოხვედრის კარგი შანსი გვაქვსო. „აია“ კი ზედიზედ მერვედ დამარცხდა. ქუთაისელებს ახლა ზეგინდელი თამაშის იმედი აქვთ. ისინი „უნივერსიტეტს“ მასპინძლობენ და სჯერათ, რომ პირველ გამარჯვებას იზეიმებენ.

**იუზა ძაძიტაძე ქუთაისიდან**



# ო-ო-ო, იამასიტა-სან!

ამასწინათ გაუწყეთ, ამომავალი მზის ქვეყნიდან ცოცხალი ლეგენდის, იასიჰურო იამასიტას მეთაურობით იაპონელთა ნაკრები რომ გვეწვეოდა. ახლახან კონკრეტული თარიღიც შევიტყვეთ და აჰა, ბატონო, 18 ივლისიდან ერთი კვირის განმავლობაში ქართველი ძიუდოისტები და აზიელი სტუმრები ერთობლივ საწვრთნელ ვარჯიშებს ჩაატარებენ. იამასიტა-სანი თბილისში თანაშემწეებად ორგზის მსოფლიოს ჩემპიონს ჰიროტაკა ოკადასა და ოლიმპიადის და მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებულს სინძი ჰოსაკავას იახლებს. ძიუდოისტებიც რჩეული ბიჭები მოჰყავს დაუმარცხებელ ფალავანს. თვალი გადაავლეთ იაპონელთა შემადგენლობას და ამაში თავად დარწმუნდებით: სამი ძმა ნაკამურა — ოლიმპიადის და მსოფლიოს ჩემპიონი კენძო(73კგ), ოლიმპიადის პრიზიორი და მსოფლიოს ჩემპიონი იუკიმასა(66), მსოფლიოს ჩემპიონი იობიო(100); ოლიმპიადისა და მსოფლიოს ჩემპიონი ტადაჰირო ნომურა(60), მსოფლიოს ჩემპიონი რიუძი სონოდა(66), მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორი შინიჩი შინოჰარა(მძიმე).

ეს რაც შეეხება ტიტულოვან სპორტსმენებს, ნაკრების მეორე ნომრად დასახელებული ძიუდოისტებიც ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ, მართალია, მათ მსოფლიოს ჩემპიონატებზე რაიმე წარმატებისათვის ჯერ არ მიუღწევიათ, თუმც აზიის კონტინენტზე საკმაო ავტორიტეტით სარგებლობენ.

იაპონელების გარდა თბილისში სტუმრობის სურვილი ფინელ ევროპის ჩემპიონ იორმა კორპონენსა და ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორებს მოლდოველ ვიქტორ ბივოლს, ოლეგ კრეტულსა და ანდრეი გოლბანს გამოუთქვამთ. ქართველ და იაპონელ ძიუდოისტებთან ერთობლივი ვარჯიში სომეხთა ნაკრებსაც მოსურვებია და ადვილი შესაძლებელია, მათი დელეგაციაც 18 ივლისს ეწვიოს თბილისს.

**სოსო ძოტორეიშვილი**



# ბეკერს ლაქა მაინც შერჩა



ბორის ბეკერი და ალექს კორეტხა

**გშტაადი. შვეიცარიის ღია პირველობა. ტარდება თიხნარზე. საპრიზო 550 ათასი $**

**მეოთხედფინალი: მარსელო რიოსი (1, ჩილე) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 6:3, 7:5; ალექს კორეტხა (3, ესპანეთი) — ალბერტ კოსტა (6, ესპანეთი) 5:7, 6:2, 6:2; ბორის ბეკერი (გერმანია) — ფელიქს მანტია (5, ესპანეთი) 6:4, 6:4; ფილიპ დევულფი (ბელგია) — ნიკოლას კიფერი (8, გერმანია) 1:6, 6:3, 6:4.**

მარსელო რიოსმა უიმბლდონის პირველ წრეში თავისთვის მეტად მტკივნეული მარცხი სწორედ ფრანსისკო კლავეტთან განიცადა, ამიტომ მეოთხედფინალში შურისძიებით ანთებულმა ითამაშა და ვეტერან ესპანელს მატჩის ბოლოს მცირეოდენი გაბრძოლების მიუხედავად უპრობლემოდაც აჯობა. რიოსის მეტოქე ნახევარფინალში ბეკერ — მანტიას შეხვედრაში ირკვეოდა და ყველასათვის მოულოდნელად გამარჯვება თიხნარზე თამაშის ოსტატს, წლევანდელი როლან გაროსის ნახევარფინალისტსა და ტურნირის შარშანდელ მოგებ ესპანელს კი არა, სანახევროდ პენსიაში გასულ ბეკერს დარჩა. „არ ველოდი ნახევარფინალში გასვლას, წლეულს ხომ ვარჯიშითაც იშვიათად ვვარჯიშობ, მაგრამ როგორც ეტყობა, ჯერჯერობით მაინც სახიფათო მეტოქედ ვრჩები“ — განაცხადა გერმანელმა.

**ნახევარფინალი: ბეკერი — რიოსი 6:4, 7:6 (7:4); კორეტხა — დევულფი 6:3, 6:7 (3:7), 6:3.**

მარსელო რიოსი გშტაადში გამარჯვებით კლასიფიკაციაში პირველ ადგილს დაიკავებდა, ოღონდ ამისთვის გზად საჭირო ქულების დასაგროვებლად მანტიასა და კორეტხას უნდა გადაჰყროდა. ასე რომ, ბორის ბეკერმა გაპირველების შანსი და დამატებითი სტიმული მეტოქეს წინა დღესვე მოუსპო, ნახევარფინალში კი რატომღაც ფორჰენდმოშლილი ჩილელი კიდევ ერთხელ გაამწარა მძლავრი მოწოდებებითა და ბადესთან საუცხოო თამაშით. მეორე სეტის ტაი-ბრეიკზე მსოფლიოს ორი ყოფილი პირველი ჩოგნის მეტად თვალსასეირო შეხვედრაში რიოსმა ერთი-ორი შესანიშნავი გათამაშება მოიგო, მაგრამ მერე მთელი ჯაფა მარტივი შეცდომებით წყალში გადაყარა და ისე განაწყენდა, ნერვებმოშლილმა ბურთი ტრიბუნებსაც კი გადააცილა. ბეკერის კომენტარი კი წინა დღისგან ბევრით არაფრით განსხვავდებოდა: „იძულებული ვიყავი, გათამაშებაში მალე დამესრულებინა, რადგან ოთხშაბათს აქეთ სასტიკად დავიღალე. გაოცებული ვარ ფინალში გასვლით. თიხნარის სპეციალისტად არავინ არ მთვლის, მაგრამ ამ კორტებზე თამაში ურიგოდ სულაც არ მეხერხება. თუ არ გჯერათ, იმ ხალხს ჰკითხეთ, აქ რომ გავაგდე“.

**ფინალი: კორეტხა — ბეკერი 7:6 (7:5), 7:5, 6:3.**

ბორის ბეკერის ხანგრძლივ კარიერაში არაერთი დიდი მიღწევაა აღსანიშნავი, მაგრამ რამდენიც უნდა ეძიოთ, მის მიერ მოგებულ 49 ტიტულს შორის თიხნარისას ვერც ერთს ვერ ნახავთ. კვირას დიდ გერმანელს ამ ნაკლის გამოსწორების შესანიშნავი შანსი ჰქონდა, მაგრამ რაკილა ფინალში გამარჯვება სამ სეტამდე იყო, მის ფიზიკურ მზადყოფნას მძიმე გამოცდა ელოდა: მარათონული მატჩის გაძლება 30 წლის ვეტერანისთვის მეტად სათუო ჩანდა.

ბეკერი მსოფლიოს მეცხრე ჩოგან კორეტხას პირველ-მეორე სეტში არაფრით ჩამორჩებოდა, მაგრამ დაწინაურების შესაძლებლობა ორივეგან გაუშვა ხელიდან — პირველ სეტში 3:3-ზე ორი ბრეიკ-პოინტი, მეორე ხელში 5:4-ზე სულაც სამი სეტ-პოინტი. ამით გამხნევებული ესპანელი კი, რომელიც თავს არც მანამდე ირცხვენდა, შესანიშნავად ათამაშდა, თანამედროვე ჩოგბურთელთა შორის, ალბათ, საუკეთესო ცალხელა ბექჰენდი მთელი ძალით აამუშავა და ორსაათნახევრიანი ორთაბრძოლა თავის სასარგებლოდ დაასრულა.

„ეს ყველაფერი ჩემს ტიპიურ ისტორიას ჰგავდა თიხნარზე — შანსებს ვერ ვიყენებდი: ხან არ მიმართლებდა, ხან ცუდად ვურტყამდი, ხან ის თამაშობდა შესანიშნავად. ისე, მაინცდამაინც იმედგაცრუებული არა ვარ. არც ფინალში გასვლას ველოდი და არც ამ ჩოგბურთელების დამარცხებას, მით უმეტეს, თიხნარზე“. კარიერის მეექვსე ტიტულისა და 74 ათასი დოლარის მომხვეჭელი კორეტხა ძალიან ბედნიერი ჩანდა: „ბორისი ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელად მიმაჩნია და ძალიან მეამაყება მისი დამარცხება, იგი შესანიშნავად თამაშობდა აქ“.

**ბასტადი. შვედეთის ღია პირველობა. ტარდება თიხნარზე. საპრიზო 345 ათასი $**

**ნახევარფინალი: მაგნუს გუსტაფსონი (1, შვედეთი) — ტომას იოჰანსონი (6, შვედეთი) 6:3, 4:6, 7:5; ანდრეი მედვედევი (უკრაინა) — დომინიკ ჰრბატი (7, სლოვაკეთი) 6:3, 7:6 (7:2)**

**ფინალი: გუსტაფსონი — მედვედევი 6:2, 6:3**

31 წლის მაგნუს გუსტაფსონმა მოახერხა ის, რაც თვით მის დიდ თანამემამულეებს, ბიორნ ბორგსა და მატს ვილანდერს არ გაუკეთებიათ — შვედეთის ღია პირველობა მეოთხედ მოიგო. ფინალში გუსტაფსონის მეტოქე ერთ დროს მსოფლიო მეოთხე, ამ კვირისთვის კი 97-ე ჩოგანი ანდრეი მედვედევი იყო. ერთსაც და მეორესაც აქამდე 11 ტიტული მოეგო, მაგრამ 1996 წლის ფინალის მსგავსად (6:1, 6:3), რომელშიც იგივე მეტოქეები შეხვდნენ ერთმანეთს, გაცილებით ახალგაზრდა უკრაინელმა ვერც ამჯერად გასწია დიდი წინააღმდეგობა.

**ნიუპორტი. აშშ. დიდების დარბაზის ჩემპიონატი. ტარდება ბალახზე. საპრიზო 315 ათასი $**

**ნახევარფინალი: ნევილ გოდვინი (სამხეთ აფრიკა) — ჯეისონ სტოლტენბერგი (1, ავსტრალია) 3:6, 6:1, 7:6 (7:5); ლეანდერ პაესი (ინდოეთი) — ლორანს ტილმანი (იტალია) 6:3, 6:4**

ცრუმორწმუნე სტოლტენბერგმა ნახევარფინალის წინ წინა დღის ყველა მოქმედება გაიმეორა — ისევე ისაუზმა, ისევე ადგა და ფეხსაცმელიც პირველად მარცხენა ფეხზე ჩაიცვა, მაგრამ ნიუპორტის ტურნირის ერთ თარს ტრადიციას მაინც ვერ გადაურჩა — პირველად განთესილს აქ არასოდეს გაუმარჯვია.

**ფინალი: პაესი — გოდვინი 6:3, 6:2**

ფინალმა ნერვულ ატმოსფეროში ჩაიარა — არც ერთ ჩოგბურთელს აქამდე ტურნირი არ მოეგო და მეტისმეტი დაძაბულობის გამო შეცდომებსაც ბლომად უშვებდნენ, თუმცა წყვილებში თამაშის ოსტატი პაესი გონს გაცილებით ადრე მოეგო და მატჩიც მის სასარგებლოდ დასრულდა.

**პრაღა. ჩეხეთის ღია პირველობა. ტარდება თიხნარზე. საპრიზო 165 ათასი $**

**ნახევარფინალი: იანა ნოვოტნა (1, ჩეხეთი) — ჰენრიეტა ნაგიოვა (5, სლოვაკეთი) 2:6, 6:3, 7:5; სანდრინ ტესტიუ (2, საფრანგეთი) — ნატაშა ზვერევა (4, ბელარუსი) 6:3, 4:6, 6:4**



ნოვოტნას უიმბლდონის მოგება ვაცლავ ჰაველმაც მიულოცა

**ფინალი: ნოვოტნა — ტესტიუ 6:3, 6:0**

უიმბლდონის ჩემპიონმა ნოვოტნამ თავის გამარჯვებათა სერია 16 მატჩამდე გაზარდა და მშობლიურ პრაღაში ზედიზედ მესამე ტურნირიც მოიგო. მერე კი იანამ ფინალში განადგურებული ფრანგი ტესტიუს დაცვა სცადა და აშკარადაც გადააჭარბა: „სანდრინი შესანიშნავად თამაშობდა (მეორე სეტის ნოლზე წაგება?), უბრალოდ, ძლიერი ქარი ქროდა და მას ხელს უშლიდა, მე კი თავს კარგად ვგრძნობდი და პრობლემები ამიტომ არ შემქმნია“.

**ავთანდილ სვანიძე**



# TOUR DE FRANCE

**პროლოგი. დუბლინი. 5,6 კმ**

ირლანდიელი მრბოლების არყოფნაში ადგილობრივებმა ინგლისელი კრის ბორდმანის მხარი დაიჭირეს და ტურის პროლოგების ორგზის გამარჯვებულმაც თითქმის მთლიანად გადაკეტილ დუბლინში იმედები არ გაუცრუათ — 5,6 კილომეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად გაიარა და ლიდერის ყვითელი მაისურიც მოირგო. „ეს ჩემი საუკეთესო გამარჯვებაა, რადგან ამჟამად მძიმე დღეები მიდგას. მას ჩემს მეუღლეს, სელი ენს ვუძღვნი, რომ არა ის, დღეს მე აქ არ ვიქნებოდი“ — განაცხადა კარიერის განმავლობაში ათასგვარი ტრავმით გატანჯულმა ბორდმანმა, რომელსაც ტესტოსტერონის დაბალი დონის გამო ძალების აღდგენის უნარი ერთობ დაქვეითებული აქვს და რბოლის წინ ამბობდა, ბევრს არაფერს ველიო. მეორე ადგილზე ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი აბრაჰამ ოლანო გავიდა, ტურის შარშანდელი გამარჯვებული იან ულრიხი კი მეექვსე იყო.

**პროლოგი: 1. კრის ბორდმანი — 6,12; 2. აბრაჰამ ოლანო (ესპანეთი) +4; 3. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) +0,5; 4. ბობი ჯულიჩი (აშშ); 5. კრისტოფ მორო (საფრანგეთი) — იგივე დრო.**

**1 ეტაპი. დუბლინიდან დუბლინამდე. 180,5 კმ.**

დუბლინში დაწყებული ეტაპის ტრასა ვიკლოუს გორაკებზე გადიოდა, სწორედ იქ, სადაც მელ გიბსონმა 1996 წლის ოსკაროსანი ფილმი „მამაცი გული“ გადაიღო. პელოტონმა თითქმის მთელი გზა ერთად გალია, მხოლოდ ფინიშამდე რამდენიმე კილომეტრით ადრე სპრინტის მეფე მარიო ჩიპოლინის შეემთხვა უსიამოვნო ამბავი — რამდენიმე მრბოლი ერთმანეთს შეასკდა და თან ისიც ჩაიყოლა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ლიდერის მაისურს ისევ ბორდმანი შეინარჩუნებდა. რბოლა კი ბელგიელმა ტომ სტილსმა მოიგო, რომელმაც საფინიშო სპურტზე სპრინტის კიდევ ერთი დიდოსტატი ერიკ ცაბელი ჩამოიტოვა. სტილსისთვის ეს გამარჯვება შურისძიების ტოლფასი გახლდათ — შარშან მეტოქისთვის წყლიანი ბოთლის სროლის გამო იგი ტურიდან მოკვეთეს. „არაჩვეულებრივია პირველივე ეტაპის მოგება. შარშან ეს თავიდანვე რომ ვერ მოვახერხე, დღითიდღე სულ უფრო ვნერვიულობდი და ჩემი სულელური საქციელიც ამას მოყვა.“

**1 ეტაპი: 1. სტილსი — 4:29,58; 2. ცაბელი (გერმანია); 3. რობი მაკივენი (ავსტრალია); 4. ჯანმატეო ფანინი (იტალია); 5. ნიკოლა მინალი (იტალია) — ყველა იგივე დრო.**

# ახალი ქართული სიტყვა




ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია.

არსებობენ ფასეულობები, რომლებიც არასოდეს ძველდებიან, რომლებსაც მხოლოდ ივიწყებენ ხოლმე, როგორც რაღაც უმნიშვნელოს, ან თავისთავად ცხადსა და გასაგებს. მაგრამ გადის დრო და საჭირო ხდება მათი ხელახალი აღმოჩენა.

საჭირო ხდება, რადგან ყველაზე მყარი და საიმედო სწორედ ის არის, რაც მრავალგზის გამოცდილია და ახალი დროის გამოცდას კვლავაც გაუძლებს. ტრადიციული ფასეულობები ერთნაირად გვჭირდება ყველგან, შინ და გარეთ, ოჯახსა და სამსახურში, პირად ცხოვრებასა თუ საქმიან ურთიერთობებში.

ნდობა, თანამშრომლობა, საიმედოობა...

სწორედ ეს მარტივი პრინციპებია ის პირველმიზეზი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ყოველივე ჩვენს საქმიანობაში. მტკიცე საძირკვლის გარეშე კეთილდღეობა ისევე სწრაფად ინგრევა, როგორც ქვიშაზე ნაგები სახლი. ნებისმიერ წამოწყებას მხოლოდ მაშინ გააჩნია მომავალი, როდესაც იგი ურთიერთგაგებას ეფუძნება.

ფასეულობებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის ქართუს ნაწარმის შექმნას, ჩვენ თქვენგან ვიღებთ და განივთებული სახით ისინი ახლა თქვენთან ბრუნდებიან.

ძველად სჯეროდათ, რომ ნივთთან ერთად ნივთის იდეაც არსებობს. თუ ამას ვირწმუნებთ, მაშინ ჩვენ შევძლებთ, რომ ჩვეულებრივი საგნებით ჩვენს ყოფას სითბო და სინათლე შევმატოთ.

ქართუ

**ფორმულა 1**
**IX ეტაპი**
**ბრიტანეთის დიდი პრიზი**

# შუმახერი — წვიმის კაცი



**მიხაელ შუმახერი**

დაიბადა 1969 წლის 3 იანვარს, კერპენში (გერმანია)
სიმაღლე 174 სმ, წონა 71 კგ
ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი
ცხოვრობს შვეიცარიაში
დებიუტი ფორმულა 1-ში 1991, ბელგიის დიდი პრიზი, „ჯორდანი"
111 რბოლა, 31 გამარჯვება, 17 პოული, 28 სწრაფი წრე
494 ქულა
მსოფლიოს ჩემპიონი 1994 და 1995 წლებში

სეზონის პირველი წვიმიანი რბოლა კურიოზულად დასრულდა. ბოლო წრეზე ფინიშის გადაკვეთის ნაცვლად, შუმიმ ბოქსებში შეუხვია სასჯელის მოსახდელად, იქიდან ტრასაზე დაბრუნდა და თავქუდმოგლეჯილი გამოეკიდა ჰაკინენსა და ირვინს.

წესების თანახმად, ფინიშის ხაზი ბოქსებზეც გადის. ასე რომ, გერმანელმა პილოტმა სწორედ იქ გადაკვეთა იგი და ტრასას უკვე გამარჯვებული დაუბრუნდა. მან თავადაც არ იცოდა ეს ამბავი და როდესაც ასაწონად მისულს ძმამ — რალფმა პირველობა ახარა, შუმი ბოლიდში კარგა ხანს გაოგნებული იჯდა და თავის წარმატებას არ იჯერებდა. ჟან ტოდტს კი მობოდიშება მოუხდა თავის პილოტთან, რადგან სწორედ მას აერია თვლა და მის გამო უკვე ტრიუმფატორმა გერმანელმა ერთი წრით მეტი ირბოლა.

კვალიფიკაციაში კვლავ ჰაკინენმა იმარჯვა. მის გვერდით ადგილი მიხაელ შუმახერმა მოიპოვა. მესამე სასტარტო პოზიცია ვილნევმა გაასწრა, მასთან კი კულჰარდი აღმოჩნდა. მესამე რიგი ირვინმა და ფრენცენმა დაისაკუთრეს. სუსტად იასპარეზეს „ბენეტონის" პილოტებმა, რომლებიც ექვსეულს მიღმა დარჩნენ.

ოლივიე პანისა და რალფ შუმახერს შედეგები გაუუქმეს (ბოლიდები ტექნიკურ რეგლამენტს არ შეესაბამებოდა) და სტარტზე სარბოლო ქარავნის კუდში გაამწესეს.

რბოლის დღეს გაწვიმდა და სტარტისას ტრასა სველი გახლდათ, ზოგ ადგილას კარგა მოზრდილი გუბეებიც იდგა.

სტარტზე პირველი ჰაკინენი დაიძრა, მას შუმი მიჰყვა.

ვილნევი ოდნავ შეფერხდა და იგი კულჰარდმა და ალეზიმ ჩამოიტოვეს. ამ უკანასკნელმა საუცხოოდ დაწყებული რბოლით კვლავ გაიბრწყინა და მერვედან მეოთხე პოზიციაზე გადაინაცვლა. მალე ვილნევმა თანაგუნდელსაც დაუთმო ადგილი. კარგად დაიწყო ასპარეზობა რალფ შუმახერმა და სამი წრის შემდეგ მე-13 ადგილზე აღმოჩნდა. მე-5 წრეზე კულჰარდმა შუმის შეუტია, საკმაოდ რისკიანადაც, გაასწრო (ტრასის სველ მონაკვეთზე გადავიდა) და მალე დაშორდა კიდეც. ირვინი, რომელმაც უხეიროდ აიღო სტარტი, ნელ-ნელა გამოფხიზლდა, ჰილს გაასწრო და „უილიამსის" ბიჭებს შეუტია. მისგან შეწუხებული ვილნევი გუბეში მოხვდა, მოცურდა და ირლანდიელის გატარებაც მოუხდა. „ფერარის" მეორე პილოტი მალე ფრენცენსაც გაუსწორდა და ალეზის ამოუდგა უკან.

რბოლამ პირველი დანაკლისი მე-13 წრეზე განიცადა, როდესაც ჰილი მოცურდა და ტრასის მიღმა აღმოჩნდა. მსოფლიოს ექსჩემპიონის ხვედრი შემდეგ კიდევ ათმა პილოტმა გაიზიარა. ამასობაში „ეროუსის" წყვილმა გააჩაღა შინაომი, დინიცი გამეტებით უტევდა სალოს და რამდენჯერმე სცადა დაწინაურება. მე-13 წრეზე ვერც ფრენცენმა დაიმორჩილა ბოლიდი და ხრეშში აღმოჩნდა. გაწვიმდა და ბოქსებში ერთი აურზაური დაიწყო, ყველა გუნდი ერთდროულად შეუდგა საწვიმარი საბურავების გამზადებას.

„კლიენტებმაც" არ გააწბილეს ისინი და რიგრიგობით თუ წყვილ-წყვილად ეწვივნენ მექანიკოსებს. ამის გამო ალეზი და ირვინი ბოქსებში კინაღამ შეეჯახნენ ერთმანეთს. რბოლის ლიდერმა ერთ-ერთმა უკანასკნელმა გამოცვალა საბურავები და ასპარეზობას კვლავ პირველ პოზიციაზე დაუბრუნდა. წვიმამაც დასცხო და სველმა ასფალტმა სულ უფრო მეტი მრბოლი იმსხვერპლა - სალომ, ჰერბერტმა, ტრულიმ და კულჰარდმა ტრასის მიღმა ამოყვეს თავი. ცდუნებას ვერც ლიდერმა ჰაკინენმა გაუძლო. მანაც გაისეირნა ტრასის გვერდით გაზონზე, თუმცა კი სხვებისგან განსხვავებით რბოლა კვლავ გააგრძელა და არც პირველობა დათმო. კვლავ წვიმდა და პილოტებიც უფრო გაფრთხილდნენ. ჩამორჩენილები ცდილობდნენ, უპრობლემოდ გატარებინათ მოწინავენი, ეს კი საკმაოდ რთული გახლდათ, რადგან უკანა ხედვის სარკეში წვიმის შხეფებში გახვეული მეტოქეების დროულად შენიშვნა თითქმის შეუძლებელი იყო.

მე-40 წუთზე ორგანიზატორებმა ტრასაზე პეის-კარი გამოუშვეს. ამან მოასპარეზეთა რიგები შეამჭიდროვა. მეორე ადგილზე მყოფი შუმის წინ ერთი წრით ჩამორჩენილი პილოტი მოხვდა და ამან გერმანელი რე-სტარტისას ოდნავ შეაფერხა, თუმცა მალევე შეძლო მისი გასწრება და ჰაკინენს შეუტია. ფინელმა ერთ-ერთ მოსახვევში ვერ მოახერხა ბოლიდის დამორჩილება და კვლავ ბალახებში აღმოჩნდა. მართალია, რბოლა არ შეუწყვეტია, მაგრამ პირველობა დაკარგა. შუმი კი ნელ-ნელა ზრდიდა უპირატესობას და სეზონში მე-4 გამარჯვებისკენ მიისწრაფოდა. როდესაც მე-60 წრე გაილია და მიხაელს ბოლო მოსახვევი უნდა გაევლო, მან მოულოდნელად ბოქსებში შეუხვია, შეჩერდა და კვლავ გააგრძელა ასპარეზობა. თუმცა კი, როგორც გაირკვა, სულ ტყუილად, ბოქსებში შეჩერებისას იგი უკვე გამარჯვებული გახლდათ.

შუმიმ წლეულს მეოთხედ, კარიერაში კი 31-ედ იზეიმა პირველობა. ამით იგი „ბრიტანელ ლომს", ნაიჯელ მენსელს წამოეწია და მასთან ერთად იყოფს მესამე ადგილს. მათ წინ პროსტი (51 გამარჯვება) და აირტონ სენა (41) არიან.

**ალეკო ჭაბუკიანი**



„სილვერსტოუნის" ნაწვიმარმა ტრასამ ბევრს აწყევლინა თავ-ბედი

## რბოლის შედეგები

12 ივლისი. „სილვერსტოუნი"

დისტანცია 60 წრე - 308,406 კმ

1. მ. შუმახერი (ფერარი) 1:47.12,450 (172.541 კმ/სთ) 10 ქულა
2. ჰაკინენი (მაკლარენ-მერსედესი) ჩამორჩა 12,465 წმ-ით 6
3. ირვინი (ფერარი) 19,199 წმ-ით 4
4. ვურცი (ბენეტონ-მეკაქრომი) 1 წრით 3
5. ფიზიკელა (ბენეტონ-მეკაქრომი) 1 წრით 2
6. რ. შუმახერი (ჯორდან-მუგენ-ჰონდა) 1 წრით 1
7. ვილნევი (უილიამს-მეკაქრომი) 1 წრით
8. ნაკანო (მინარდი-ფორდი) 2 წრით
9. ტაკაგი (ტირელ-ფორდი) 4 წრით

### საუკეთესო წრე

მ. შუმახერი (ფერარი) (1.35,704; 193,346 კმ/სთ)

### ლიდერები

1-47 წრე — ჰაკინენი;
48-60 — შუმახერი

### რბოლას გამოეთიშნენ

ალეზი (ზაუბერი) გაიარა 53 წრე
მექანიკური პრობლემა
დინიცი (ეროუსი) 45
მოცურდა
პანი (პროსტ-პეჟო) 40
მოცურდა
ბარიჩელო (სტიუარტ-ფორდი) 39
მოცურდა
ვერსტაპენი (სტიუარტ-ფორდი) 38
მექანიკური პრობლემა
კულჰარდი (მაკლარენ-მერსედესი) 37
მოცურდა
ტრული (პროსტ-პეჟო) 37
მოცურდა
როსეტი (ტირელ-ფორდი) 29
მოცურდა
ტუერო (მინარდი-ფორდი) 29
მოცურდა
სალო (ეროუსი) 27
მოცურდა
ჰერბერტი (ზაუბერი) 27
მოცურდა
ფრენცენი (უილიამს-მეკაქრომი) 15
მოცურდა
ჰილი (ჯორდან-მუგენ-ჰონდა) 13
მოცურდა

## განლაგება სტარტზე

11 პანი — პროსტი
10 რ. შუმახერი — ჯორდანი
20 როსეტი 1.28,608 ტირელი
22 ნაკანო 1.28,123 მინარდი
23 ტუერო 1.28,051 მინარდი
21 ტაკაგი 1.27,061 ტირელი
18 ბარიჩელო 1.26,990 სტიუარტი
19 ვერსტაპენი 1.26,948 სტიუარტი
12 ტრული 1.26,808 პროსტი
17 სალო 1.26,487 ეროუსი
16 დინიცი 1.26,370 ეროუსი
6 ვურცი 1.25,760 ბენეტონი
5 ფიზიკელა 1.25,654 ბენეტონი
15 ჰერბერტი 1.25,084 ზაუბერი
14 ალეზი 1.25,081 ზაუბერი
9 ჰილი 1.24,542 ჯორდანი
2 ფრენცენი 1.24,442 უილიამსი
4 ირვინი 1.24,436 ფერარი
7 კულჰარდი 1.24,310 მაკლარენი
1 ვილნევი 1.24,102 უილიამსი
3 მ. შუმახერი 1.23,720 ფერარი
8 ჰაკინენი 1.23,271 მაკლარენი

## FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | | ავსტრალია 8 მარტი | ბრაზილია 29 მარტი | არგენტინა 12 აპრილი | სან მარინო 26 აპრილი | ესპანეთი 10 მაისი | მონაკო 24 მაისი | კანადა 7 ივნისი | საფრანგეთი 28 ივნისი | დიდი ბრიტანეთი 12 ივლისი | ავსტრია 26 ივლისი, 16:00 | გერმანია 2 აგვისტო, 16:00 | უნგრეთი 16 აგვისტო, 16:00 | ბელგია 30 აგვისტო, 16:00 | იტალია 13 სექტემბერი, 16:00 | ლუქსემბურგი 27 სექტემბერი, 16:00 | იაპონია 1 ნოემბერი, 08:00 | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჰაკინენი (ფინეთი) მაკლარენ-მერსედესი | 10 | 10 | 6 | – | 10 | 10 | – | 4 | 6 | | | | | | | | 56 |
| 2 | მ. შუმახერი (გერმანია) ფერარი | – | 4 | 10 | 6 | 4 | – | 10 | 10 | 10 | | | | | | | | 54 |
| 3 | კულჰარდი (ბრიტანეთი) მაკლარენ-მერსედესი | 6 | 6 | 1 | 10 | 6 | – | – | 1 | – | | | | | | | | 30 |
| 4 | ირვინი (ბრიტანეთი) ფერარი | 3 | – | 4 | 4 | – | 4 | 4 | 6 | 4 | | | | | | | | 29 |
| 5 | ვურცი (ავსტრია) ბენეტონ-მეკაქრომი | – | 3 | 3 | – | 3 | – | 3 | 2 | 3 | | | | | | | | 17 |
| 6 | ფიზიკელა (იტალია) ბენეტონ-მეკაქრომი | – | 1 | – | – | – | 6 | 6 | – | 2 | | | | | | | | 15 |
| 7 | ვილნევი (კანადა) უილიამს-მეკაქრომი | 2 | – | – | 3 | 1 | 2 | – | 3 | – | | | | | | | | 11 |
| 8 | ფრენცენი (გერმანია) უილიამს-მეკაქრომი | 4 | 2 | – | 2 | – | – | – | – | – | | | | | | | | 8 |
| 9 | ბარიჩელო (ბრაზილია) სტიურტ-ფორდი | – | – | – | – | 2 | – | 2 | – | – | | | | | | | | 4 |
| 10 | ალეზი (საფრანგეთი) ზაუბერი | – | – | 2 | 1 | – | – | – | – | – | | | | | | | | .3 |
| 1 | მაკლარენ-მერსედესი | 16 | 16 | 7 | 10 | 16 | 10 | – | 5 | 6 | | | | | | | | 86 |
| 2 | ფერარი | 3 | 4 | 14 | 10 | 4 | 4 | 14 | 16 | 14 | | | | | | | | 83 |
| 3 | ბენეტონ-მეკაქრომი | – | 4 | 3 | – | 3 | 6 | 9 | 2 | 5 | | | | | | | | 32 |
| 4 | უილიამს-მეკაქრომი | 6 | 2 | – | 5 | 1 | 2 | – | 3 | – | | | | | | | | 19 |
| 5 | სტიუარტი | – | – | – | – | 2 | – | 3 | – | – | | | | | | | | 5 |

*შენიშვნა:* სტარტი ჩვენი დროით



მსოფლიოს ჩემპიონი ფრანგთა ნაკრები პარიზს ქუჩა-ქუჩა ჩამოატარეს: ფაბიენ ბარტეზი, ვინსენ კანდელა, იური ჯორკაეფი და ლორან ბლანი

# მსოფლიოს ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები

## სარბიელის ვერსია




### ჩატარდა 64 მატჩი

| FRANCE 98 | სულ | საშუალოდ ერთ მატჩში |
|---|---|---|
| გოლი | 171 | 2,67 |
| დარტყმა | 1881 | 29,4 |
| დარტყმა კარის მიმართულებით | 891 | 13,9 |
| კუთხური | 667 | 10,4 |
| შეტევა | 2135 | 33,4 |
| ყვითელი ბარათი | 250 | 3,91 |
| წითელი ბარათი | 22 | 0,34 |
| თამაშგარე | 379 | 5,92 |
| შეცვლა | 330 | 5,16 |

### წითელი ბარათები

*საფრანგეთი 3* — ზინედინ ზიდანი, ლორან ბლანი, მარსელ დესაი
*კამერუნი 3* — რაიმონდ კალა, რიგობერტ სონგი, ლავრიანო ეტამე
*ჰოლანდია 2* — პატრიკ კლუივერტი, არტურ ნუმანი
*დანია 2* — მიკლოშ მოლნარი, მორტენ ვიგჰორსტი
*მექსიკა 2* — პაველ პარდო, ხესუს რამირესი
*შოტლანდია 1* — კრეიგ ბარლი
*ს. აფრიკა 1* — ალფრედ პირი
*საუდეთი 1* — მუჰამედ ალ ხალაივი
*ბულგარეთი 1* — ანატოლი ნანკოვი
*კორეა 1* — ჰა სეკ ჯუ
*ბელგია 1* — გერტ ვერჰეინი
*იამაიკა 1* — დერილ პაუელი
*ინგლისი 1* — დევიდ ბექემი
*არგენტინა 1* — არიელ ორტეგა
*გერმანია 1* — კრისტიან ვიორნსი

### ყვითელი ბარათები

*ხორვატია 16* — სოლდო 2, სიმიჩი 2, სტანიჩი 2, ბილიჩი 2, ბობანი 2, პროსინეჩკი, იარნი, ასანოვიჩი, იურჩიჩი, სტიმაჩი, შუკერი
*ჩილე 15* — ფუენტესი 2, ტაპია 2, პარაგესი 2, როხასი 2, ვილიაროელი 2, აკუნია, სალასი, სამორანო, ესტაი, რამირესი
*დანია 12* — კოლდინგი 2, ტოფტინგი 2, რიპერი 2, ვიგჰორსტი, ნილსენი, შიონბერგი, ჰოგი, შმაიხელი, ჰელვეგი
*საფრანგეთი 12* — დეშამპი 3, პეტი, ზიდანი, ბლანი, ლისარასუ, დიომედი, ვიეირა, გივარში, კარემბუ, დესაი
*გერმანია 11* — ჰამანი 2, ჰაინრიხი 2, მათეუსი 2, იერემისი, კლინსმანი, ჰესლერი, ბაბელი, ტარნატი
*იტალია 11* — მალდინი 2, დი ბიაჯო 2, კოსტაკურტა 2, დი ლივიო, კანავარო, მორიერო, დელ პიერო, ბერგომი
*არგენტინა 11* — შამოტი 2, ორტეგა 2, აიალა, ვივასი, ვერონი, სიმეონე, ალმეიდა, როა, სენსინი
*ბრაზილია 11* — სეზარ სამპაიო 3, ალდაირი 2, ჟუნიორ ბაიანო 2, ლეონარდო, კაფუ, რობერტო კარლოსი, ზე კარლოსი
*რუმინეთი 10* — ფილიპესკუ 2, პეტრესკუ 2, გეორგ პოპესკუ 2, მუნტეანუ, ჰაჯი, ჩობოტარიუ, ილიე
*ჰოლანდია 9* — სტამი 2, ნუმანი 2, რაიციგერი, დავიდსი, ჰოიდონკი, ზეედორფი, იონკი
*მექსიკა 9* — ორდიალესი, ასპე, რამირესი, ვილა, ერნანდესი, კარმონა, პელაესი, დავინო, ბლანკო
*პარაგვაი 8* — ბენიტესი 2, არსე 2, აიალა, ჩილავერტი, ენსისო, აკუნია
*ნიგერია 8* — ოკეჩუკვუ 2, ოკოჩა 2, ადეპოჟუ, იკპება, ეგუავონი, იროჰა
*ნორვეგია 7* — მიუკლენდი 2, რეკდალი 2, ბერგი, ლეონარდსენი, ჰ. ფლო
*იუგოსლავია 7* — სტოიკოვიჩი 2, პეტროვიჩი, სტანკოვიჩი, ოგნიენოვიჩი, მირკოვიჩი, ჯოროვიჩი
*ს. აფრიკა 7* — რადებე 2, ჯეკსონი, ნიატი, ისა, პირი, ფორტუნი
*ესპანეთი 7* — ამორი, ნადალი, კამპო, სერხი, კიკო, აგილერა, გერერო
*კორეა 7* — ჩოი იონგ სო, კო იონგ სო, ლი მინ სუნგი, კიმ ტაე იანგი, ლი ლიმ სენგი, ლი მინ სუნგი, კიმ ბიონგ ჯი
*ტუნისი 7* — კლეიტონი 2, ბენ ინეში, გოდბენი, ბუაზიზი, ბეია, სუაჰა
*იაპონია 7* — ნაკანიში 2, იჰარა, ჰირანო, ნანამი, აკიტა, იამაგუჩი
*ბულგარეთი 6* — სტოიჩკოვი, ივანოვი, ილიევი, კიშიშევი, პენევი, ბაჩევი
*კამერუნი 6* — სონგი 2, იპუა, ვომე, ნჯანკა, ანგიბედო
*კოლუმბია 5* — სანტა 2, სერნა, არისტასაბალი, ბერმუდესი
*ავსტრია 5* — შოტელი 2, პფეფერი, ფაიენზინგერი, ვასტიჩი
*ინგლისი 5* — კემპბელი, სქოულზი, შირერი, სიმენი, ინსი
*შოტლანდია 4* — ჯეკსონი 2, დიური, გალაჰერი
*მაროკო 4* — ჩიბა 2, ჰადა, ჩიპო
*საუდეთი 4* — მუვალიდი, ალ ჯაჰანი, ალ ჯაბერი, ალ ივაირანი
*ბელგია 4* — სტალენსი, დეფლენდრე, ვიდოვიჩი, ბორკელმანსი
*აშშ 4* — ჰეიდუკი, პოუპი, რეჯისი, რეინა
*იამაიკა 4* — ბარტონი, კერჯილი, მალკოლმი, დევისი
*ირანი 3* — მინავადი, ზარინშეჰი, დაეი

### გოლები

6 — დავორ შუკერი (ხორვატია)

5 — კრისტიან ვიერი (იტალია), გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა)

4 — მარსელო სალასი (ჩილე), ლუის ერნანდესი (მექსიკა), რონალდო (ბრაზილია)

3 — სეზარ სამპაიო (ბრაზილია), იურგენ კლინსმანი (გერმანია), ოლივერ ბირჰოფი (გერმანია), ბებეტო (ბრაზილია), რივალდო (ბრაზილია), დენის ბერხკამპი (ჰოლანდია)

2 — ტიერი ანრი (საფრანგეთი), მარკ ვილმოტსი (ბელგია), არიელ ორტეგა (არგენტინა), რობერტო ბაჯო (იტალია), აბდელჯილილ ჰადა (მაროკო), სალაჰედინ ბასირი (მაროკო), შონ ბარტლეტი (ს. აფრიკა), ფერნანდო იერო (ესპანეთი), ფრანსისკო მორიენტესი (ესპანეთი), კიკო (ესპანეთი), ფილიპ კოკუ (ჰოლანდია), რონალდ დე ბური (ჰოლანდია), თეოდორ უიტმორი (იამაიკა), ვიორელ მოლდოვანი (რუმინეთი), სლობოდან კომლიენოვიჩი (იუგოსლავია), მაიკლ ოუენი (ინგლისი), ალან შირერი (ინგლისი), ბრიან ლაუდრუპი (დანია), პატრიკ კლუივერტი (ჰოლანდია), ლილიან ტურამი (საფრანგეთი), რობერტ პროსინეჩკი (ხორვატია), ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი), ემანუელ პეტი (საფრანგეთი)

1 — ჯონ კოლინზი (შოტლანდია), დან ეგენი (ნორვეგია), მუსტაფა ჰაჯი (მაროკო), პიერ ნჯანკა (კამერუნი), ტონი პოლსტერი (ავსტრია), მარკ რიპერი (დანია), კრისტოფ დიუგარი (საფრანგეთი), რაული (ესპანეთი), მუტიუ ადეპოჟუ (ნიგერია), სანდი ოლისე (ნიგერია), ჰა სეკ ჯუ (კორეა), რიკარდო პელაესი (მექსიკა), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია), მარიო სტანიჩი (ხორვატია), რობი ერლი (იამაიკა), პოლ სქოულზი (ინგლისი), ადრიან ილიე (რუმინეთი), ანდრეას მიოლერი (გერმანია), ჰავარდ ფლო (ნორვეგია), კრეიგ ბარლი (შოტლანდია), ივიცა ვასტიჩი (ავსტრია), ლუიჯი დი ბიაჯო (იტალია), ბენედიქტ მაკართი (ს. აფრიკა), ალან ნილსენი (დანია), დავიდ ტრეზეგე (საფრანგეთი), ბიქსენტე ლისარასუ (საფრანგეთი), მიქაელ ლაუდრუპი (დანია), ვიქტორ იკპება (ნიგერია), გარსია ასპე (მექსიკა), კვატემოკ ბლანკო (მექსიკა), მარკ ოვერმარსი (ჰოლანდია), პიერ ვან ჰოიდონკი (ჰოლანდია), პრედრაგ მიატოვიჩი (იუგოსლავია), დრაგან სტოიკოვიჩი (იუგოსლავია), ჰამიდ ესტილი (ირანი), მეჰდი მაჰდავიკია (ირანი), ბრაიან მაკბრაიდი (აშშ), ლიდერ პრესიადო (კოლუმბია), დან პეტრესკუ (რუმინეთი), ანდრეას ჰერცოგი (ავსტრია), პატრიკ მბომა (კამერუნი), ხოსე სიერა (ჩილე), ტორე ანდრე ფლო (ნორვეგია), კეტილ რეკდალი (ნორვეგია), იური ჯორკაეფი (საფრანგეთი), სამი ალ ჯაბერი (საუდეთი), იუსუფ ალ ტინიანი (საუდეთი), ლუის ენრიკე (ესპანეთი), ემილ კოსტადინოვი (ბულგარეთი), სელსო აიალა (პარაგვაი), მიგელ ბენიტესი (პარაგვაი), ხოსე კარდოსო (პარაგვაი), ვილსონ ორუმა (ნიგერია), რიკარდო პელაესი (მექსიკა), ლუკ ნილისი (ბელგია), იუ სენგ ჩუი (კორეა), ექტორ პინედა (არგენტინა), მასაში ნაკაიამა (იაპონია), სკანდერ სუია (ტუნისი), დარენ ანდერტონი (ინგლისი), დევიდ ბექემი (ინგლისი), ლორან ბლანი (საფრანგეთი), პეტერ მიოლერი (დანია), ებე სანდი (დანია), ტომას ჰელვეგი (დანია), ტიჯანი ბაბანგიდა (ნიგერია), ედგარ დავიდსი (ჰოლანდია), ხავიერ ძანეტი (არგენტინა), მარტინ იორგენსენი (დანია), კლაუდიო ლოპესი (არგენტინა), რობერტ იარნი (ხორვატია), გორან ვლაოვიჩი (ხორვატია), ბუდევინ ზენდენი (ჰოლანდია)

### ავტოგოლები

2 — პიერ ისა (სამხრეთ აფრიკა)

1 — ტომი ბოიდი (შოტლანდია), იუსუფ ჩიპო (მაროკო), ანდონი სუბისარეტა (ესპანეთი), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია)


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**სარედაქციო კოლეგია:**
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე

**ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე

**სხვა სახეობათა განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე

**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე

**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე

**დამფუძნებელი:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29